# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტი - ოთარ სომხიშვილი


## ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო  ნ ა შ რ ო მ ი

# რბილი ძალის გავლენა ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობებისა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად


ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



თბილისი 2019

# Annotation

## The impact of soft power on Georgian - Turkish relations

The paper discusses pre-history of Georgian-Turkish relations and the current situation as well, including the accompanying problems and challenges we face in today's reality. Special focus is on the demographic situation in Georgia (as a problem for the small nations) and the role of negative effect derived from these circumstances in the conditions of soft power. Also, in one of the paragraphs of the work, there are evaluations from the researchers, which were received as a result of narrative interviews on the subject of the study.

The theoretical framework of the thesis is based on Joseph Nye's soft power policy, which clearly distinguishes characteristics of the foreign policy by strong states in relation with neighboring smaller states, mechanisms for use of force, as well as directions, where there is a soft power policy. The study analyzes the role of lobbyism and its elements in Georgian-Turkish relations as one of the means of using soft power. Its nature influences different components of relations (economic, political, religious, cultural, cognitive etc.) including the role of lobbyism in intelligence.

Otar Somkhishvili

# ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ქართულ-თურქული ურთიერთობების როგორც ისტორიული წინა პერიოდი, ასევე თანამედროვე ეტაპზე არსებული ვითარება. თანმდევი პრობლემები და გამოწვევები, რომლებსაც დღევანდელ რეალობაში ვხვდებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაზე (როგორც პატარა ერებისათვის დამახასიათებელი პრობლემა) და ამ გარემოებით წარმოშობილ უარყოფითი ეფექტის როლზე რბილი ძალის პირობებში. ასევე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ნაშრომის ერთ-ერთ პარაგრაფში სხვადასხვა მკვლევრის შეფასებებია დაფიქსირებული, რომლებიც ნარატიული ინტერვიუს შედეგადაა მიღებული.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს საფუძვლად უდევს ჯოზეფ ნაის რბილი ძალის პოლიტიკა, სადაც კარგადაა გადმოცემული ძლიერი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი საგარეო პოლიტიკა მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. ძალის გამოყენების მექანიზმები, ასევე მიმართულებები, სადაც თავი იჩენს რბილი ძალის პოლიტიკა. კვლევაში გაანალიზებულია ლობიზმის როლი და მისი ელემენტები ქართულ-თურქულ ურთერთობებში, როგორც რბილი ძალის გამოყენების ერთ-ერთი საშუალება. მისი ხასიათი და გავლენა ურთიერთობების სხვადასხვა კომპონენტზე, (ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, შემეცნებითი და ა.შ) მათ შორის ლობიზმის როლი სადაზვერვო საქმიანობაში.

# სარჩევი

**შესავალი** …..... 4

**I თავი. რბილი ძალისა და ქართულ-თურქული ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები** ..... 7

1.1ქართულ-თურქული ურთიერთობების ისტორიული ეტაპები ..... 8

1.2. რბილი ძალის არსი და მისი როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ... 22

1.3 თურქული რბილი ძალის პოლიტიკა ..... 27

**II თავი. ქართულ-თურქული ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე** ..... ..... 31

2.1საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და განახლებული ურთიერთობები თურქეთთან ..... 31

2.2ლობიზმის პრაქტიკა რბილი ძალის პოლიტიკაში და მისი ელემენტები ქართულ-თურქულ ურთიერთობებში ..... 37

2.3„ეთნიკური ქართველების“ გავლენა თურქულ პოლიტიკაზე ..... 42

**III თავი. რბილი ძალის გამოვლინება თანამედროვე ქართულ-თურქულ ურთიერთობებში** ..... 46

3.1რბილი ძალის ნიშნები, საქართველოსა და თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ..... 47

3.2საგანმანათლებლო და კულტურული სივრცე, როგორც რბილი ძალის გამოყენების მძლავრი მექანიზმი .....

3.3. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება თურქული რბილი ძალის პოლიტიკაში ....

**დასკვნა** .....

**რეკომენდაციები** .....

**გამოყენებული ლიტერატურა** .....

# შესავალი

ქართულ-თურქული ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. ამ ურთიერთობებს სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ის სხვადასხვა მიმართულებებით ვითარდებოდა და მას როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მოვლენები ახლდა. ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეოცე საუკუნის მიწურულს - ცივი ომის დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. მეზობელმა სახელმწიფომ საქართველოსთვის მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში დადებითი როლი ითამაშა და გარკვეულწილად რუსეთი ჩაანაცვლა. თურქეთი გახდა სავაჭრო პარტნიორი და სტრატეგიული მოკავშირე, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა. დღეს თურქეთი საქართველოსთან ერთად ჩართულია საერთაშორისო თუ რეგიონალურ ენერგო პროექტებში და სატრანზიტო კორიდორის მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს, ამიტომ რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში მას დიდი როლი ეკისრება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ - თურქული ურთიერთობების კომპონენტებში დიპლომატიურ, ენერგეტიკულ, ეკონომიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ და სხვა სივრცეებში საკმაოდ თვალნათლივ ვლინდება რბილი ძალის ელემენტები. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ თურქეთის მაღალჩინოსნები (პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი) საერთაშორისო საზოგადოებას ხშირად ახსენებენ ოსმალეთის იმპერიის ყოფილ საზღვრებს და ამ საზღვრებში აჭარასა და გურიის ნაწილს მოიაზრებენ.

რაც შეეხება რბილ ძალას, ის განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში გააქტიურდა, რადგან კაცობრიობის განვითარებამ უკუაგდო ძალის გამოყენების ის საშუალებები, რომლებიც დამახასიათებელია ხისტი ძალის პოლიტიკისთვის. მისი ავტორი, პოლიტიკოსი და მკვლევარი, ჯოზეფ ნაი, ემიჯნება ხისტი ძალის პოლიტიკას და უპირატესობას იძულებისა და ზეწოლისთვის თანამშრომლობას, დიპლომატიას, ენერგეტიკულ, ეკონომიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ და სხვა სივრცეებს ანიჭებს, შესაბამისად იგი დამახასიათებელია დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისთვის (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია დ.აშ) ამ შემთხვევაში ქართულ-თურქული ურთიერთობები არის კარგი მაგალითი რბილი ძალის პოლიტიკის გამოვლინებისა.

**თემის აქტუალურობას** წარმოაჩენს ის ფაქტიც, რომ ქართულ-თურქული ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება და ეს ურთიერთობები დიდ გავლენას ახდენს საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკის განვითარებაზე, ენერგო და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე, საბოლოოდ კი - საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე. ამ ურთიერთობებში ერთგვარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის მიერ რბილი ძალის გამოყენება. შესაბამისად, იმ საკითხის ანალიზი, სადაც საქართველოს ეროვნული, ენერგო და რეგიონალური უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეებია გაანალიზებული, ნამდვილად არ არის მოკლებული აქტუალობას.

საკვლევ საკითხთან მიმართებით **ჰიპოთეზა** შემდეგია - *ისტორიის მანძილზე ქართულ-თურქული ინტერესები სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა, ხშირი იყო „ხისტი ძალის“ გამოყენების შემთხვევებიც. საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის არსებობით შექმნილმა ახალმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ შემაკავებელი ბარიერები წარმოშვა საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში. დამოუკიდებლობის აღდგენამ კი ეს ბარიერები მოშალა, განახლდა მრავალმხრივი ურთიერთობები, რომლებიც მთელი რიგი პოზიტიური მომენტებით ხასიათდება, მაგრამ ამას თან ახლავს სხვადასხვა მიმართულებით თურქული რბილი ძალის გააქტიურება (პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ დ.ა.შ) რაც ბევრ საფრთხესთან არის დაკავშირებული.*

ამ მოცემულობიდან გამომდინარე საკვლევი კითხვებია:

**1) როგორი იყო ქართულ-თურქული ურთიერთობები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ?**

**2) როგორი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის დანგრევამ ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე?**

**3) რა დოზით ვლინდება რბილი ძალა ამ ურთიერთობებში და როგორია მისი გავლენა და შედეგები ?**

სამაგისტრო ნაშრომის **კვლევის საგანს** წარმოადგენს ქართულ-თურქული ურთიერთობების ქრონოლოგიური ანალიზი. მისი **მიზანია** რბილი ძალის ელემენტების გამოვლენა ამ ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებებში.

ნაშრომის **მეთოდოლოგიას** საფუძვლად უდევს ჯოზეფ ნაის თეორია „რბილი ძალის პოლიტიკა“, სადაც იგი საუბრობს დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, რომელიც გაცილებით რთული

ხასიათისაა ვიდრე II მსოფლიო ომამდე, შესაბამისად კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში სამხედრო ძალა პოლიტიკის წარმოების ნაკლებად გამოყენებადი ინსტრუმენტია, ხოლო ავტორი უპირატესობას ანიჭებს რბილი ძალის გამოყენებას, რომელიც გლობალიზაციის პირობებში გაცილებით ეფექტური საშუალებაა ზეწოლისა და იძულებისთვის. ნაი მას ახასიათებს როგორც საშუალებას - „მიაღწიო სასურველ შედეგებს რადგან სხვებს უნდათ ის, რაც გინდა შენ; ანუ შესაძლებლობა მიაღწიო შენს მიზანს მოზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით“.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია რამოდენიმე სახის აპრობირებული **კვლევის მეთოდი.** ესენია: თვისებრივი მეთოდი, ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდი, ასევე კონტენტ ანალიზი და ნარატიული ინტერვიუ ექსპერტებთან.

ნაშრომს გააჩნია როგორც **თეორიული ასევე პრაქტიკული** მნიშვნელობა, რომელსაც წვლილი შეაქვს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გაანალიზება-შეფასებაში. ხოლო ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს (ლექტორებს, სტუდენტებს, მკვლევრებს) საშუალება ექნებათ გაიღრმავონ თეორიული ცოდნა. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები ზრდის ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას. მსგავსი თემატიკის კვლევის დროს კი, ნაშრომის გამოყენება შესაძლებელი იქნება დამატებითი ლიტერატურის სახით.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა** შედგება შესავალი ნაწილისგან , სამი თავისა და ცხრა ქვეთავის, ასევე დასკვნითი ნაწილისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

# I თავი

## რბილი ძალისა და ქართულ-თურქული ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

ნაშრომის პირველ თავში მიმოვიხილავთ ქართულ-თურქული ურთიერთობების ისტორიულ ეტაპებს, მოკლედ შევეხებით თუ როგორი მოვლენებით ხასიათდება ესა თუ ის ისტორიული პერიოდი. ძალის გამოყენების რომელ საშუალებებს ანიჭებდა თურქეთი უპირატესობას საუკუნეების

მანძილზე და როგორ შეიცვალა მიდგომა თანამედროვე პერიოდში. ასევე განვიხილავთ რბილი ძალის არსს და მისი როლს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ზემოქმედების ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმს, რომელიც კომბინირებულად იჩენს თავს ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებებში. ამავე თავის ერთი ქვეთავი დაეთმობა თურქული რბილი ძალის პოლიტიკს ანალიზს, კერძოდ, რა შემთხვევები და მაგალითები არსებობს თურქული რბილი ძალის პოლიტიკის გამოვლინებისა და როგორ აფასებენ მას უცხოელი ავტორები.

## 1.1 ქართულ-თურქული ურთიერთობების ისტორიული ეტაპები

როდესაც საქართველოსა და თურქეთის ისტორიული ეტაპების მიმოხილვას ვიწყებთ, სამართლიანი იქნება თუ თურქეთის ნაცვლად გამოვიყენებთ ტერმინ ოსმალეთს იმპერიას, რადგან სწორედ ასე მოიხსენიებენ მას ისტორიულ წყაროებში (ან/და ოტომანთა იმპერიას) 1908 წლამდე. ქართულ-ოსმალური ურთიერთობების ათვლის წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბიზანტიის დაცემის ერა და ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდი. ისტორიულ წყაროებში ოსმალეთის იმპერიის დამაარსებლად ხშირად მოიხსენიებენ ოსმან ბეის, თუმცა იმპერიის შექმნა ჯერ კიდევ მისი მამის, ერთოღლურ ბეის, პერიოდში დაიწყო, როდესაც მან შეძლო თავიანთი ტომის კაის[1*] გაერთიანება და ბეგის[*] წოდების მიღება. სწორედ აქედან დაიწყო ოსმალეთის იმპერიის შექმნა. რუმის სულთანთან გარიგებამ და ბიზანტიასთან სასაზღვრო ტერიტორიების დაცვის სტატუსით მიღებამ, საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ ბირთვს. მისი გარდაცვალების შემდეგ ოსმან ბეიმ გააგრძელა მამის საქმიანობა და ბიზანტიური ტერიტორიების ხარჯზე საკუთარი მიწების გაფართოება.

მოგვიანებით ოსმან ბეიმ შეძლო რუმის სასულთნოში აჯანყების ჩახჩობა, ხელში აიღო ძალაუფლება და თავი თურქების სულთნად გამოაცხადა. ამით მან შეძლო შემოეკრიბა და გაეერთიანებინა ყველა თურქული წარმოშობის ტომი და დაიწყო მცირე აზიის დამორჩილება. სწორედ მისი ვაჟი, ორჰან-I, სულთნად გახდომის შემდეგ , პირველად ესხმის თავს საქართველოს, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიას. ეს ლაშქრობა შეგვიძლია ჩავთვალოთ პირველ საბრძოლო მოქმედებად, რომელიც ოსმალეთის

---

[*] *კაის ტომი - ერთ-ერთი თურქული ტომი რომლის გაერთიანებაც შეძლო ერთოხლურ ბეგიმ სხვა თურქულ ტომებთან ერთად.*

[*] *ბეგი - ტიტული ან/და წოდება რომელიც აღნიშნავდა გაამერთიანებლის სტატუსს ოსმალეთის იმპერიაში.*

იმპერიასა და საქართველოს შორის , თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მანამდეც თურქული ტომებისგან საქართველოს წინააღმდეგ ხშირი იყო დამპყრობითი ლაშქრობები, მაგალითად, თურქ-სელჩუკები, რომლებიც შემდეგ ოსმალეთის იმპერიას დაექვემდებარნენ. ასევე ირანის ტერიტორიაზე და ნაწილობრივ სამხრეთ კავკასიაში (სომხეთისა და აზერბაიჯანის დიდ ნაწილში), საუკუნეების მანძილზე ბატონობდნენ თურქული ტომები, რომელებთანაც მეზობლობა საქართველოსთვის ძალიან დამაზიანებელი იყო, რადგან მათი მხირიდან ხშირი იყო დამარბეველი ლაშქრობები.

გაცილებით გართულდა გეოპოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსთვის სხვა სულთანების მმართველობის პერიოდში. განსაკუთრებით მეჰმედ-II ფათიჰის* მმართველობისას. ამ პერიოდში დაეცა ბიზანტია და კოსტანტინოპოლში გადმოიტანეს ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი, რომელსაც ისტამბული ეწოდა. ამ ტემპით აგრძელებს მეჰმედ-II დამპყრობლურ ლაშქრობებს, კერძოდ, 1461 წელს აიღო ტრაპიზონი და სამხრეთ დასავლეთიდან საქართველოს გაუმეზობლდა ოსმალეთი. 1475 წელს დაეცა ყირიმი და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან საქართველოს ესაზღვრებოდა ოსმალეთი, ხოლო 1478 წელს ვენეციის დაცემის შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ ხელთ იგდო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი, რითიც შავი ზღვის სრული ბლოკადირება შეძლო. ეს იყო კატასტროფული რეალობა, როგორც საქართველოს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისთვის, ასევე ევროპისთვის, რადგან საქართველომ დაკარგა სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია და აბრეშუმის გზის დაკეტვით იგი ამოვარდა სავაჭრო-ეკონომიური ჯაჭვიდან. საქართველო მთლიანად მოექცა ოსმალეთის იმპერიის რკალში, რომელშიც დაახლოებით ოთხი საუკუნის მანძილზე , არსებული მძიმე სიტუაცია გაგრძელდა. ამ გარემოებამ ევროპა აიძულა დაეწყო ალტერნატიული სავაჭრო გზების ძებნა. ასე საზღვაო ცივლიზაცია ჩანაცვლდა საოკეანო ცივილიზაციით, კერძოდ სავაჭრო გზებმა ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეში გადაინაცვლ .ამან გამოიწვია საქართველოს მოწყვეტა ევროპისგან. ფაქტობრივად, საქართველო გადაავიწყდა ევროპას. აღნიშნულ სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ საქართველო დაშლილი იყო სამეფო სამთავროებად, ხოლო თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად,

---

* *ფათიჰი - დამპყრობელი, რომელიც უწიდებდნენ თავის სასტიკი დამპყრობლური ლაშქრობების გამო მეჰმედ -II-ს*

ქვეყანა მთლიანად წელგატეხილი იყო, როგორც პოლიტიკურად ასევე ეკონომიკურად.[2]

ოსმალეთისა და ირანის სახით შექმნილმა ახალმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ უარყოფითად აისახა საქართველოს მომავალზე. მე-16 საუკუნეში, 1555 წელს, ყველაზე მძიმე დარტყმა, რომელიც საქართველომ მიიღო იყო ამასიის ზავი,* ზავის მიხედვით, ოსმალეთ - ირანმა გაიყვეს დაპყრობილი ტერიტორიები, მათ შორის საქართველოს მიწები. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა ირანი, ხოლო დასავლეთის ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1578 წელს ოსმალებმა ამასიის ზავი დაარღვიეს. იმავე წელს ჩილდირის ტბასთან ბრძოლაში ოსმალებმა გაანადგურეს ყიზილბაშები და სამცხის გავლით ქართლში შემოვიდნენ. ირანმა თითქმის მთელი ამიერკავკასია დაკარგა. ოსმალეთის ასეთ გაძლიერებას არ ელოდნენ არც ევროპაში. ასეთ ვითარებაში, შაჰის კარზე გადაწყვიტეს დატყვევებული სვიმონ მეფის გათავისუფლება. შექმნილ ვითარებაში ეს ირანის ინტერესებში შედიოდა, რადგან ირანელებმა იცოდნენ, რომ სვიმონ მეფე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდა და ეს ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა რომ რამდენიმე ბრძოლა წარმატებით დასრულდა და ევროპა მზად იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნისთვის, ამან რეალური შედეგი ვერ გამოიღო. ოსმალეთსა და ირანს შორის 1590 წელს ახალი ზავის პირობების თანახმად, მთელი კავკასიის რეგიონზე კონტროლი ოსმალეთის ხელში გადავიდა.

როგორც კი ოსმალეთმა ზეგავლენა მოიპოვა სამხრეთ კავკასიაზე, მას მოკავშირები გამოუჩნდა იმიერკავკასიაშიც - ძირითადად მთიელი ტომები, რომლებიც მუდმივად დამარბეველი, მოულოდნელი თავდასხმებით აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ მოსახლეობას. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წნეხში აღმოჩნდა კახეთის სამეფო. კახეთის მმართველი წრისთვის ცნობილი იყო რომ ოსმალეთისა და ირანის დაპირისპირება ხელსაყრელი მომენტი იყო ოსმალეთის ზეგავლენის შესასუსტებლად, რადგან ირანის დამარცხების შემთხვევაში სიტუაცია გაუარესდებოდა საქართველოშიც. კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებით შეშფოთებული იყო რუსეთიც, ხოლო საქართველოს მაშინდელი მეფე ალექსანდრე II რუსეთს

---

[2] *ენუქიძე გ. „ოსმალეთის იმპერიის აღზევება, ბიზანტიის დაცემა“ Silk school, 2016* https://www.youtube.com/watch?v=TMDuso5wbWE&t=38s

* *ამასიის ზავი - დაიდო 1555 წელს ირან - ოსმალეთის ომი შემდეგ.*

კავკასიის დახმარებისკენ მოუწოდებდა, რაც პირდაპირ ნიშნავდა ირანის გაძევებას რეგიონიდან.

XVI საუკუნის მიწურულს , რუსეთში ახალი მეფის მოსვლის შემდეგ , დათბა და აღდგა კახეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობები. კოალიციის ერთ-ერთი მიზანი იყო ოსმალეთის მოკავშირე მთიელების მარბიელი ლაშქრობების დასრულება. ამის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ საშამხლოს* კონტროლით, იქ ციხესიმაგრეების ჩადგმით და ჯარის ჩაყენებით. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების წინააღმდეგი არ ყოფილა არც ირანი, რადგან ირანი დასუსტებული იყო და რუსეთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, პირიქით , რუსეთთან კავშირი დაეხმარებოდა მას ოსმალეთის წინააღმდეგ. წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც რუსეთი კახეთს მფარველობას ჰპირდებოდა. თავის მხრივ, კახეთის მეფე ,რუსეთს დაეხმარებოდა მტრებთან ბრძოლაში. 1587-1589 წლების ხელშეკრულების პირობების თანახმად, რუსეთმა მდინარე თერგზე ააგო ციხესიმაგრე და დაიწყო საშამხლოს კონტროლი, თუმცა მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ამას ორივე მხარე ელოდა, რადგან რუსეთმა ვერ შეძლო დაღესტანში საქართველოს ინტერესების დაცვა და ფეხის მოკიდება.

ამ კოალიციამ, რა თქმა უნდა, გააღიზიანა ოსმალეთის სულთანი და რომ არა ქართველი მეფის დიპლომატიური მოხერხებულობა (ხარკის გადახდა, უფროსი ვაჟს სტამბოლის კარზე გაგზავნა და ა.შ) ბევრად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კახეთის სამეფო. ამასთან გაგრძელდა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან.[3]

XVI-XVII საუკუნეებში საქართველო ფაქტობრივად გადაიქცა ოსმალეთ-რუსეთ-ირანის ინტერესების კვეთის წერტილად, სადაც თითოეულ მათგანს საკუთარი მიზნები ქონდა. ეს იწვევდა დამპყრობლების არაერთგვარ დამოკიდებულებას საქართველოს სამეფოებისადმი. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი დასავლეთის სამეფო-სამთავროები ინარჩუნებდნენ საშინაო პოლიტიკის დამოუკიდებლობას, მაგრამ გაცილებით რთული სიტუაცია იყო სამცხე-საათაბაგოში, სადაც

---

* *საშამხლო - ადგილი დაღესტანში, ეს ტერიტორია ხასიათდებოდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით.*

[3] *ასათიანი. ნ, ოთხმეზური. გ, სამსონაძე. მ, ჯამბურია.გ „საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე“ ტომი III, თბილისი 2012, გვ120 – 257*

ოსმალეთი ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ქართველთა გამაჰმადიანებას და ოსმალეთთან მათ ასიმილიზაციას (რელიგიის შეცვლა, ტრადიციებისა და ადათ-წესების აკრძალვა, ასევე ყოველდღიური წესწყობილების მოშლა) ოსმალეთის განსხვავებული დამოკიდებულება რეგიონებისადმი გამოწვეული იყო მისი გავლენის სფეროების სიძლიერით, ანუ სადაც უფრო ძლიერი იყო გავლენა , მეტად ფატალური ხდებოდა საქართველოსთვის. ისტორიის ეს ეტაპი ასევე ხასიათდება შიდა პოლიტიკური სისუსტითა და ქართველ ფოდალთა შორის განხეთქილებით, რომელსაც დავით და გიორგი ბატონიშვილების დაპირისპირება ედო საფუძვლად. საგარეო პოლიტიკის გართულებამ, ქვეყნის შიგნით პოლიტიკურმა აშლილობამ, საქართველო უფრო მეტად დაასუსტა. ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე, ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა რუსეთთან სიახლოვე და მასთან როგორც მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან კავშირი, რომელსაც უნდა დაესრულებინა საშამხლო-დაღესტნის მონაკვეთიდან მარბიელი ლაშქრობები. თუმცა შაჰ-აბას I-ის რეფორმების შედეგად გაძლიერებული ირანი ამარცხებს ოსმალეთს, იკავებს მის ტერიტორიებს მთელ დასავლეთ სომხეთზე, მათ შორის ერევნის ციხეზე. ირანის ასეთი წარმატება ასევე განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ამიერკავკასიაში მოსახლეობა, პარალელულად, ებრძოდა ოსმალებს, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს მკვიდრნი. ამის მიუხედავად ირანი ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებოდა ქართულ-რუსულ კოალიციას. ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ირანის ყურადღების ცენტრში ქართლ-კახეთის სამეფო და საქართველოს სხვა რეგიონები მოექცნენ. შაჰ-აბასმა, ფაქტობრივად, მიზნდაც კი დაისახა ამ რეგიონების სრული განადგურება, გამაჰმადიანება და შემდეგ მუსლიმანური მოსახლეობის ჩამოსახლების ხარჯზე სახანოების შექმნა, რაც გახდებოდა რუსეთთან წინააღმდეგობის საყრდენი. აბას I მმართველობის პერიოდი ძალიან მძიმედ და სასტიკი გამოდგა საქარველოსთვის, ერთმა დამპყობელმა მეორე ჩაანაცვლა, ქვეყანაში კი, სიტუაცია კვლავ უცვლელი იყო.[4]

შედარებით პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც ქართლში მეფობდა თეიმურაზ II, ხოლო კახეთში ერეკლე II. ამ გარემოებამ, ფაქტობრივად, გააერთიანა ეს ორი ქართული სამეფო, ვინაიდან მამა-შვილი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და

---

[4] *ასათიანი. ნ, ოთხმეზური. გ, სამსონაძე. მ, ჯამბურია.გ „საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე“ ტომი III, თბილისი 2012, გვ260– 296*

ერთობლივად აძლევდნენ პასუხს მტერ-მოყვარეს. ამას ემატებოდა იმ სტრატეგიული რეფორმების ერთობლიობა, რომლებიც ერს ეხმარებოდა წელის გამართვაში, მაგალითად: სახელმწიფო და სამართლის საკითხების მოწესრიგება, სამეურნეო ხასიათის ღონისძიებები, ერის სულიერ-კულტურული გაძლიერება და ა.შ. ეს ყველაფერი დადებითად აისახებოდა საქართველოს საგარეო - საშინაო პოლიტიკაზე ასევე ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაზე. ისტორიის ეს მონაკვეთი, ფაქტობრივად, ხასიათდება საქართველოს გათავისუფლებით ირანის ბატონობისგან. ხარკის გადახდის შეწყვეტა, თბილისის გათავისუფლება ყიზილბაშებისგან*, სომხეთში ირანელების დამარცხება, ლეკიანობის ალაგმვა, შემდგომში ქართლ-კახეთის გაერთიანება და რუსეთის იმპერიასთან კეთილ მეზობლური ურთიერთობა იყო ნიშანი იმისა, რომ საქართველო ძლიერდებოდა.

რუსეთ-თურქეთის ომში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ქრისტიანი ხალხის მხარდაჭერას. რუსეთი საქართველოს სამხედრო რესურსით უჭერდა მხარს, ამას კი, ერეკლესა და სოლომონის შეთანხმებული მოქმედება უწევდა ორგანიზებას. რუსეთის მთავარი მიზანი ჩრდილო კავკასიაში თურქეთის შესუსტება და შავი ზღვისპირეთისკენ მისი განდევნა იყო. შეიძლება ითქვას, იმერეთისა და ქართლ-კახეთის ბედი დიდად არც აინტერესებდა, თუმცა რუსეთის ძალის ფაქტორს ქართველი მეფეები სათავისოდ იყენებდნენ საქართველოს გასათავისუფლებლად. ტოტლებენის* არაკეთილსინდისიერი მოქმედების მიუხედავად, რომელმაც საქართველოს დამხმარე ჯარი ბრძოლის ველიდან გაიყვანა, ერეკლემ მაინც შეძლო ოსმალთა და ლეკთა დამარცხება. რუსეთის ჯარის არასანდოობით და უმოქმედობით გამოწვეულმა რეალობამ ცხადყო, რომ საჭირო იყო რეგულარული არმიის შექმნა. ერეკლემ 1774 წელს შექმნა მორიგე ჯარი*. ამ რეფორმამ გაზარდა საჯარისო შენაერთები, რითიც შეიქმნა რეგულარული არმია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში დამარცხებამ ოსმალეთი აიძულა მთელი ყურადღება დასავლეთ საქართველოში გავლენის შენარჩუნებისკენ მიემართა. 1757 წელს, სოლომონ I-ის დასამორჩილებლად, იმერეთში

---

* *ყიზილბაში - წითელთავიანი, ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ირანელებს თავიანთი წითელი თავსაბურავის ტარების გამო.*

* *გენერალი ტოტლებენი - რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილი სარდალი-გენერალი, რომელიც ერეკლეს უნდა დახმარებოდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.*

* *მორიგე ჯარი - ქართლ-კახეთის ყველა მამაკაცი არ ჰქონდა მნიშვნელობა ის იყო ბატონი, აზნაური თუ გლეხი, წელიწადში ერთხელ უნდა წასულიყო მორიგე ჯარში.*

სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა. სოლომონმა გამჭრიახი სტრატეგიის საშუალებით გამარჯვება მოუტანა საქართველოს. სტრატეგია ითვალისწინებდა გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზების ჩაკეტვას რათა ოსმალებს დახმარება არ მიეღოთ. სოლომონთან დამარცხების შემდეგ, ოსმალეთის მთავარ საყრდენ რეგიონებს აფხაზეთის, აჭარისა და გურიის მიმართულებები წარმოადგენდა, საიდანაც მას ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე გადმოყავდა. მოგვიანებით, 1780 წელს, რუხის ციხესთან სოლომონმა აფხაზეთის მხრიდან შემოჭრილი ოსმალური ლაშქარი დაამარცხა. შესაბამისად, ამ დროიდან იმპერიის მთავარ საყრდენ წერტილებს გურია და აჭარა წარმოადგენდა.[5]

სოლომონ მეფის სახელს უკავშირდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა - „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვა. დემოგრაფიული კატასტროფის ფონზე საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, მათ შორის ბავშვებს, ფაქტობრივად, ბაზარში ყიდდნენ, რაც იყო უმძიმესი მდგომარეობა იყო ერისთვის, რადგან ერთის მხრივ ის იწვევდა საწარმოო ძალების ნაკლებობას, ხოლო მეორეს მხრივ, მომავალი თაობის დეფიციტს.

ამის პარალელურად რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციაც იცვლებოდა. კერძოდ, რუსეთმა მიიერთა ყირიმის სახანო. საზღვაო ძალების დიდი ნაწილი შავი ზღვის აუზის ტერიტორიებზე იდგა. აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც. კავკასიის დაუფლებისთვის მებრძოლ ირანს და ოსმალეთს რუსეთიც დაემატა, რომელიც დასუსტებულ ოპონენტებს შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა. ამ ყველაფრის ფონზე ერეკლე ცდილობდა არსებული რეალობა საქართველოს სასარგებლოდ გამოეყენებინა, თუმცა აშკარა პრორუსული გავლენის შექმნა ქვეყანაში ისეთივე დამაზიანებელი იქნებოდა, როგორიც ოსმალეთის და ირანის შემთხვევაში. ამიტომაც ერეკლე განსაკუთრებული სიფრთხილით მიუდგა რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს. უმთავრესი პრობლემა, რომელიც ამ დროს საქართველოს დაატყდა თავს, იყო დემოგრაფიული საკითხი. მთელი საქართველოს კონტროლილებად მოსახლეობას 700-800 ათასი ადამიანი წარმოადგენდა. ამ ფონზე ოსმალეთიც და ირანიც უპრობლემოდ გაანადგურებდა საქართველოს, შესაბამისად საჭირო იყო მყარი მოკავშირის ძიება. ევროპა ამისთვის არ გამოდგებოდა და დახმარების

---

[5] *ჯავახიშვილი. ლ, ჯავახიშვილი.ნ, ქართულ-ოსმალური ურთიერთობები 1918 წლის I ნახევარში, თბილისი 2002 გვ. 35 - 83*

სურვილიც არ ჰქონდა. რჩებოდა მხოლოდ რუსეთი. სწორედ ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური მოვლენები უძღვოდა წინ გეორგიევსკის ტრაქტატს, რომელიც 1783 წელს გაფორმდა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე იღებდა პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს.

- *ქართლ-კახეთის მეფე საქვეყნოდ საუკუნოდ უარყოფდა თავის დამოკიდებლობას სხვა რომელიმ ქვეყნისადმი და მხოლოდ რუსეთის მეფის უზენაესობას და მფარველობას აღიარებდა.*
- *საქართველოს სამეფო ტახტზე ასული მეფე რუსეთს უნდა დაემტკიცებინა, მასვე უნდა გამოეგზავნ სამეფო ნიშნებიც.*
- *საგარეო პოლიტიკა ამიერიდან ქართლ-კახეთს მხოლოდ რუსეთთან შეთანხმებით უნდ ეწარმოებინა, საჭიროების შემთხვევაში ქართლ-კახეთი მთელი თავისი ძალით რუსეთის მხარე უნდა გამოსულიყო."*

- *რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთს ჰპირდებოდა მფარველობას და საგარეო მტრისგან დაცვას.*
- *რუსეთის იმპერატორი ჰპირდებოდა, რომ საქართველოს ისტორიული საზღვრების დაბრუნებაში დაეხმარებოდა საქართველოს.*
- *რუსეთი ქართლ-კახეთის შიდა საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო.*
- *რუსეთის იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ ქვეყნის ტახტი ერეკლეს შთამომავლებს დარჩებოდა*[6]

მართალია ქვეყანა დაცული იყო ირანისა და ოსმალეთისგან, რადგან საქართველოს რუსეთთან მოკავშირეობამ დიდად შეარყია დამპყრობლების ინტერესები, თუმცა რუსეთმა უომრად გადმოლახა კავკასიონის ქედი და ხელში ჩაიგდო რეგიონის სტრატეგიული ადგილები. საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდა რუსული არმიის ბატალიონები. დასუსტებული საქართველოს ფონზე, აქამდე მორჩილებაში მყოფი ერევნისა და განჯის სახანოები განუდგნენ ერეკლეს და ხარკის გადახდა შეუწყვიტეს. იგივე მოიმოქმედეს ყაზახმა თათრებმაც. დასუსტებული საქართველო, რომელსაც რუსეთის ჯარი არც თუ ისე ეფექტურად იცავდა, კარგი სამიზნე აღმოჩნდა ლეკებისთვის რათა განეახლებინათ მარბიელი ლაშქრობები და ხალხის ძარცვა. ერეკლეს მოთხოვნა, გაეზარდა რუსეთს სამხედრო რესურსი და მეტად დახმარებოდა საქართველოს, უარყოფილი იქნა რუსეთის იმპერიის მიერ. ეს ცხადყოფდა, რომ რუსეთი მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა ქართლ-კახეთის გაძლიერებასა და გაბატონებას მეზობელ პატარა სამეფოებზე. ამის შემდეგ, კვლავ დაიწყო, ირანისა და ოსმალეთის მხრიდან, საქართველოს ტერიტორიების დარბევა. 1785 წელს ომარ-ხანის მეთაურობით დაილაშქრა კახეთი და გაიძარცვა ახტალა*, შემდეგ კი, მისი მუშაობა, ფაქტობრივად გაჩერდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკას სერიოზული ზარალი მოუტანა.

---

[6] *ტარუხიშვილი .მ „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი შედეგები"*

* *ახტალა-სტრატეგიული ადგილი სადაც სპილენძისა და ვერცხლის სამთამადნო წარმოება ხდებოდა*

განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთის მიდგომამ, ნათელი გახადა მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომლის იმედად დარჩენაც ერეკლეს არ შეეძლო და დაიწყო ახალი მოკავშირეების ძებნა, თუმცა უშედეგოდ. ამან გაართულა ურთიერთობები რუსეთთან და ირანი და ოსმალეთი ერეკლეს მიმართ უნდობლად განეწყვნენ.

1787 წელს, რუსეთმა ჯარი გაიყვანა ქართლ-კახეთიდან, რისი მიზეზიც ოსმალეთთან ახალი ომის წამოწყება იყო, ხოლო ჯარის გაყვანის საბაბად განაცხადა, რომ ეს დაეხმარებოდა ქართლ-კახეთს მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარებაში. რეალურად, საქართველო დაუცველი აღმოჩნდა. მტრებისთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთი საქართველოს დახმარებას არ აპირებდა. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი თბილისისკენ დაიძრა. კრწანისის ველზე მას სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდენ ქართველები, რომლებიც მცირერიცხოვნობის გამო დამარცხდნენ - ირანმა თბილისი დაიპყრო.

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო შიდა აშლილობა საქართველოში, რამაც პოლიტიკური არასტაბილურობა კიდევ უფრო გაართულა. კერძოდ, ბატონიშვილებმა საკუთარი ტერიტორიების თვითნებურად კონტროლი დაიწყეს და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. რუსეთმა ისარგებლა ქვეყნაში არსებული შიდა არეულობთ და 1799 წელს ქართლ-კახეთში ჯარი შემოიყვანა, ხოლო ერთ წელიწადში ფაქტობრივად გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის გენერალიტეტმა, ლაზარევის მეთაურობით თავადაზნაურობას განუცხადა, რომ ქვეყნის შემდგომ ბედს რუსეთის იმპერატორი გადაწყვეტდა. ამით საქართველომ სუვერენიტეტი დაკარგა.[7]

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა უბრძოლველად ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დაამყარა საქართველოზე კონტროლი, რაც მოასწავებდა გაერთიანების საკმაოდ ვრცელი დროით გადადებას. ქართულმა სამეფო-სამთავროებმა ერთი იმპერიის შემადგენლობაში მოიყარეს თავი, ეს კი, იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს გამოსვლა იმპერიის შემადგენლობიდან ერთიანად, სრული იურიდიული დამოუკიდებლობით უნდა მომხდარიყო. საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი განსაკუთრებული დრამატული მოვლენებით ხასიათდება. მუსლიმანური სამყაროს თავის დაღწევის და დიდი მეგობრის პოვნის იმედით, საგარეო პოლიტიკურმა ორიენტაციამ არჩევანი რუსეთზე შეაჩერა, გეორგიევსკის ტრაქტატის უგულებელყოფითა

---

[7] *ასათიანი. ნ, ოთხმეზური. გ, სამსონაძე. მ, ჯამბურია.გ „საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე“ ტომი III, თბილისი 2012, გვ313-363*

და ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულებით ცხადი გახდა რუსეთის ინტერესები. 1801 წლიდან საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბექტად მსოფლიოსთვის აღარ არსებობდა, ფაქტობრივად 117 წლის განმავლობაში იგი იქცა რუსეთის კოლონიად, რომლის დროსაც შენარჩუნდა და გაგრძელდა ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული ჩაგვრა. იდევნებოდა ეროვნული იდეოლოგია, ნადგურდებოდა კულტურული ფასეულობები. რუსეთიც ისეთივე დამპყრობელი აღმოჩნდა, როგორც ირანი და ოსამლეთი.

XX საუკუნეში მსოფლიოში მომხდარმა მკვეთრმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა (I მსოფლიო ომი, ოქტომბრის გადატრიალება და ა.შ) და რუსეთში მომხდარმა შიდა აშლილობამ, მეფის ხელისუფლების დაცემამ, მოადუნა რუსეთის ყურადღება საქართველოსადმი, რითიც ისარგებლა საქართველოს ეროვნულმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და დიდი ძალისხმების შედეგად, 1918 წლის 26 მაისს სოციალ-დემოკრატების თაოსნობით დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იგი რუსეთის შემადგენლობიდან გაერთიანებული გამოვიდა, რომელიც მსოფლიოს რამდენიმე დიდმა ქვეყანამ აღიარა.

რუსეთში მომხდარი პოლიტიკურ-ეკონომიკური კოლაფსით შექმნილმა კრიზისმა (რომელიც სამხედრო სექტორსაც შეეხო) დაასუსტა ის. ამ დასუსტებამ პირველ რიგში ასახვა ჰპოვა ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთის წინსვლის შედეგად გასაბჭოებულმა რუსეთმა, 1918 წელს ბრესტის* ზავი დადო. ზავის შედეგად თურქეთმა ბათუმის, ყარსისა და ადაგანის ოლქები მიიღო, სადაც უმალვე ჩააყენა ჯარი. ბათუმის ოლქი რეალური დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. გარდა იმისა რომ ამ ტერიტორიაზე პრეტენზია ჰქონდა ოსმალეთს, რუსეთს და აზერბაიჯანს, მოგვიანებით სომხეთს ევროპა (საფრანგეთი, ინგლისი) მაინც ინარჩუნებდა ტერიტორიების სტრატეგიულ ობიექტებზე კონტროლს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც I მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ თურქეთის გავლენა შესუსტდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. ინგლისმა ბათუმის ფაქტობრივი ოკუპაცია მოახდინა. ახალმა მოწინააღმდეგემ ისეთი რეფორმების გატარება დაიწყო, რომლებიც ბათუმში ინგლისელთა პოლიტიკური კურსის გავლენის გაზრდას უწყობდა ხელს. ის მიმართული იყო როგორც ევროპის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაზრდელად (რადგან ბათუმი ამიერკავკასიაში ყველაზე მნიშვნელოვანი

---

* *ბრესტის ზავი - სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და ავსტრია-უნგერეთ, ოსმალეთ, ბულგარეთს შორის, რომელიც დაიდო 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში.*

საზღვაო-საპორტო ქალაქი იყო, საიდანაც უმნიშვნელოვანესი ტვირთები გადიოდა სხვადასხვა მიმართულებით), ასევე ბოლშევიკების მოწინააღმდეგე დენიკინის არმიის მხარდაჭერისკენ. თუმცა დენიკინის რუსეთში დამარცხების შემდეგ ინგლისის ჯარებმა დატოვეს ბათუმი ისე, რომ არ განსაზღვრულა ქალაქის სტატუსი. თურქულმა აგენტურამ აქტიურად დაიწყო მუშაობა სედაი მილეთისა და ქესქინ ზადეს საშუალებით. ამავე დროს ქართული ერის საქმის კეთება არ შეუწყვეტიათ ადგილობრივ პატრიოტებს, რომლებიც თავს იყრიდნენ ორგანიზაცა „სამუსლიმანო საქართველოს“ ქვეშ. (სწორედ ამ ორგანიზაციამ ითამაშა გადამწყვეტი როლი აჭარის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების საკითხში.)[8]

არსებულ სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ ამიერკავკასიის ერთიანობა მალევე დანაწევრდა. აზერბაიჯანის მმართველი პარტიები ხსნას ოსმალეთთან გაერთიანებაში ხედავდენ და არც უპირისპირდებოდნენ მათ, პირიქით პროთურქულ მოძრაობებს აფინანსებდნენ კიდეც. სომხეთი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ინგლისის დახმარებას ანიჭებდა უპირატესობას. ასევე, აჭარის სტატუსის გათვალისწინების პროცესში სომხეთიც ცდილობდა საკუთარი სარგებლის მიღებას, რომელიც ითვალისწინებდა აჭარის პორტიდან შავ ზღვაში სომხური ხომალდები დამოუკიდებლად გადაადგილებას.ის ასევე ითვალისწინებდა აჭარასა და სომხეთს შორის რკინიგზით სარგებლობას, რომელიც იქნებოდა სომხეთის საკუთრება და ზღვაზე გასასვლელის არ ქონის გამო პრეტენზიას ართვინის ტერიტორიაზეც აცხადებდა. საქართველოში პრო გერმანულმა განწყობამ იჩინა თავი. გერმანია მხარს უჭერდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს, თუმცა დიდი სიმპატიებით არ იყო განწყობილი კავკასიის სეიმის მიმართ, რადგან სამი სახელმწიფოს ერთი იდეის ქვეშ გაერთიანება ნიშნავდა რეგიონში ძალთა ბალანსს, რომელიც მაშინ არ შედიოდა არც ოსმალეთის, არც ევროპის და არც რუსეთის ინტერესებში. დამოუკიდებელ სუბიექტად არსებული კავკასიის სეიმის დაშლის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს საქართველო განახლებულ ურთიერთობებს, ფაქტობრივად, მხოლოდ ოსმალეთთან, რომელიც საკმაოდ მძიმედ განვითარდა ქვეყნისთვის. გარე ძალები, რომლებიც საქართველოს და ამიერ კავკასიას უნდა დახმარებოდნენ,

---

[8] *ჩაგელიშვილი .თ „აჭარის საიდუმლო“ 2015 წელი.*
https://www.youtube.com/watch?v=PSagnU4hMok&t=161s

არ აპირებდნენ რუსეთთან ან ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭებას, უფრო მეტიც, ისინი ბათუმის „პორტო ფრანკოდ“* გამოცხადების იდეას ემხრობოდნენ, რომლითაც ყველა სახელმწიფო თანაბარი უფლებიანობით ისარგებლებდა. ეს საქართველოს მძიმე დარტყმას აყენებდა, რისი დაშვებაც არ შეიძლებოდა.

რაღათქმაუნდა, ქართულ-ოსმალური ხედვაც და ინტერესებიც ამ პერიოდში ურთიერთსაპირისპიროდ წარიმართა, რასაც სამხედრო დაპირისპირების განვითარება ხვდა წილად. საუკუნეების მანძილზე აჭარა - გურიას ყველაზე მძიმედ შეეხო ოსმალეთის დამპყრობლური ლაშქრობები, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მჭიდროდ იყო ინტეგრირებული თურქულ ტრადიციებსა და რელიგიას, რაც მომავალში სათავისოდ გამოიყენა ოსმალეთმა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გასავრცელებლად. პირველი შეტაკებები 1920 წლის გაზაფხულზე დაიწყო აჭარის ტერიტორიაზე, ჩოლოქთან. ორგანიზაცია „სედაი მილეთის“* და მისი იდეის ქვეშ გაერთიანებული „აჭარისტანის“*სამხედრო ფორმირებები ერთიან საქართველოს ეწინააღმდეგებოდნენ და მისგან გამოყოფისა და აჭარის ავტონომიის სტატუსით ოსმალეთთან შეერთებას მოითხოვდნენ ან/და აჭარისტანის დამოუკიდებლობას ინგლისი პროტექტორატის ქვეშ. რაც პროვოცირებული იყო ინგლისისა და ოსმალეთის მიერ. ამის პარალელურად აჭარაში დაიწყო ქართული ეროვნული იდეის დევნა, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ოფიციალურად, სედაი მილეთის სამხედრო ძალის დიდი ნაწილი დაკომპლექტებული იყო გამუსლიმანებული ქართველებით, რომელთაც სათავეში ქესკინ ზადე (წარმოშობით ქართველი) ედგა. თუმცა მეჰმედ აბაშიძე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ წერდა, რომ ადგილი ჰქონდა გარე ძალების მიერ დეზინფორმაცის გავრცელებას და რომ აჭარის მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ სურდა განხეთქილება. *„ჩვენ ვიცით, რომ ძლიერთ სურთ მოაჩვენონ ევროპას თითქოს ბათუმის ოლქი აჯანყდა საქართველოს წინააღმდეგ მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ მათ რაზმებს უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობა არ შეადგენს. იქ არიან თურქი ოფიცრები, რუსობა სომხები და საქართველოდან გამოქცეული*

---

* *პორტო ფრანკო - თავისუფალი ქალაქ-ნავსადგური, რომელიც არცერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შდის.*

* *სედაი მილეთი - „ხალხის ხმა“ პროთურქული პოლიტიკური მოძრაობა.*

* *აჭარისტანი - ასე მოიხსნიებდნენ ოსმალები მათ მიერ კონტროლირლებად აჭარის ტერიტორიას.*

*ყაჩაღები, რომლებიც ადგილობრივ ყაჩაღებს შეუერთდნენ. ბათუმის ოლქი ოდითგანვე საქართველო იყო და იქნება.“*[9]

აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ შიშის, ძალადობის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობა უარს აცხადებდა ინგლისელებთან თანამშრომლობაზე და ქესქინ ზადეს მხარდაჭერაზე. ისინი ნათლად აფიქსირებდნენ თავიანთ განწყობას სამშობლოსადმი. ეს განწყობა კიდევ ერთხელ გამოჩნდა მასობრივ აქციებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებას დამატებითი კონტიგენტის შეყვანას და აჭარის განთავისუფლებას სთხოვდა. აჭარის და ბათუმის ორიენტაცია ნათელი იყო. ასევე ნათელი იყო, რომ ოსმალეთი და აწგასაბჭოებული რუსეთი მას არ დათმობდნენ, ამიტომაც ინგლისმა დათმო აჭარა და გავიდა რეგიონიდან. ამ მოვლენებს წინ უძღოდა აზერბაიჯანის გასაბჭოება. სომხეთში პრორუსული განწყობის შექმნა სომხეთის გასაბჭოებასაც ცხადყოფდა. ყველასთვის თვალსაჩინო იყო, რომ საქართველოს ჯერიც მალე დადგებოდა, ხოლო რუსეთს საკუთარი ინტერესები აჭარასთან მიმართებით საუკუნეების მანძილზე ჰქონდა. იგივეს თქმა შეიძლება ოსმალეთზეც. მოგვიანებით, ინგლისის გასვლის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა და ოსმალეთის იმპერიამ მარტივად გადაწყვიტეს აჭარის საკითხი. 1921 წელს, მოსკოვში, რუსეთმა და ოსმალეთმა საბოლოოდ გაიყვეს აქამდე სადავო ბათუმის ოლქის ტერიტორია, რომლის მიხედვითაც ართვინის და არტაანის ოკრუგი გადაეცა ოსმალეთს და იქ კონტროლი დაამყარა ხოლო დღევანდელი აჭარის ტერიტორია დარჩა აწგასაბჭოებულ საქართველოს შემადგენლობაში. სწორედ ამ ხელშეკრულებით იშვა ყარსის ხელშეკრულება მოგვიანებით.

ყარსის ხელშეკრულება - ეს გახდა რუსეთ-თურქეთის მოკავშირეობის ახალი გამოვლინების შედეგი და მათი დამეგობრების ნათელი მაგალითი. ამ ხელშეკრულებით პირდაპირ მოხდა საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფა, საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა და ქვეყნის ტერიტორის განაწილება. ყარსის ხელშეკრულება თავისი შინაარსითა და პუნქტებით საკმაოდ რთულ ფენომენად შეიძლება აღვიქვათ, რომელიც რამდენჯერმე დაზუსტდა. იგი დღემდე ინარჩუნებს გავლენას რეგიონის ქვეყნების (საქართველო, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი)

---

[9] *მიქაუტიძე .მ „ზაქარია ჭიჭინაძე მაჰმადიან ქართველთა ენობრივი კომპეტენციისა და ეროვნული იდენტობის შესახებ„ 2015 გვ.30*

საგარეო პოლიტიკასა და მათ ურთიერთობებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ხელშეკრულების რამდენიმე პუნქტი, რომელიც ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს, მოსახლეობის სარწმუნოების საკითხს (ანუ რელიგიური ინსტიტუტები უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო). ამ მიმართულებით თურქეთი ფაქტობრივად იტოვებს აჭარის მუსლიმანური მოსახლეობის დაცვის უფლებას. ასევე მნიშვნელოვანია ყარსის ხელშეკრულების მეექვსე პუნქტი, სადაც საყურადღებოა დემოგრაფიული საკითხი აჭარაში.[10]

1992 წელს საქართველო-თურქეთს შორის დაიდო კეთილმეზობლური ჩარჩო ხელშეკრულება, სადაც ყარსის ხელშეკრულება ნახსენებია საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ხელშეკრულება გაუქმდა ან მისი ანულირება მოხდა, როგორც ამას დღეს ბევრი ექსპრეტი ქადაგებს. გასათვალისწინებელია ჩვენი მეზობლების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, რომელიც სავსებით არ ემთხვევა იმ მოსაზრებას რომ ყარსის ხელშეკრულებამ დაკარგა ფუნქცია ან/და გაუქმდა. ამაზე მიანიშნებს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ 1920 წელს, იანვარში, ოსმალეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება „ეროვნული აღთქმა“, რომელშიც განსაზღვრული იყო ოსმალეთის ტერიტორია, სადაც მოიაზრებოდა აჭარის (კერძოდ ბათუმის ოლქი) და გურიის ნაწილი. იგი დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას და ეს კონცეფცია დღემდე ძალაში რჩება, რისი ცხადი დადასტურებაცაა თურქეთის მაღალჩინოსნების (პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი) მიერ საერთაშორისო საზოგადოებისთვის იმის შეხსენება, თუ სად გადიოდა ოსმალეთის იმპერიის საზღვარი.

დასკვნის სახით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ქართულ-ოსმალური ურთიერთობები ისტორიის მანძილზე დაძაბულად და ნეგატიურად ვითარდებოდა. ისტორიული ეტაპები სავსეა უარყოფითი მოვლენებით, მუდმივად ხდებოდა საომარი მოქმედებები და დამპყრობლური ლაშქრობები. ეს გარემოება კი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კეთილდღეობასა და სახელმწიფოებრიობას. საქართველოს გასაბჭოების

---

[10] *ბაღათურია .მ „მითები თუ რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ“ Grass fact check, 2019.* https://factcheck.ge/ka/story/37989-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91

შემდეგ შეწყდა დამოუკიდებელი ურთიერთობები თურქეთთან, რადგან საბჭოთა კავშირით შექმნილმა ახალმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ შემაკავებელი ბარიერები წარმოშვა ქართულ-თურქულ ურთიერთობებში.

## 1. 2. რბილი ძალის არსი და მისი როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

*„მიაღწიო სასურველ შედეგებს რადგან სხვებს უნდათ ის, რაც გინდა შენ; ანუ შესაძლებლობა მიაღწიო შენს მიზანს მოზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით“*

ასეთი სიტყვებით ახასიათებს მისი ავტორი, ჯოზეფ ნაი, რბილი ძალის პოლიტიკას, რომელიც ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ზეწოლისა და იძულებისთვის. ძალის ფაქტორს უდიდესი შესაძლებლობები აქვს, რომელიც სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს (იძულება,დაშინება, წახალისება დ.ა.შ) მისი ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა, ზეწოლა და სასურველი მიზნების მიღწევა. რათქმაუნდა, სახელმწიფოები რბილ ძალას მიმართავდნენ საუკუნების წინადაც, თუმცა იგი განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელთა სუბიექტებმაც უკუაგდეს ხისტი ძალის გამოყენების საშუალებები, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციამ ნათლად დაგვანახა, რომ ომის პირობებში მშვიდობის მოპოვება და შენარჩუნება გაცილებით რთული აღმოჩნდა ვიდრე ომში გამარჯვება. სწორედ ამიტომ ძლიერმა სახელმწიფოებმა არჩევანი გააკეთეს რბილ ძალაზე, სადაც მისი გამოყენებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი ნაკლებად დამაზიანებელია საერთაშორისო მშვიდობისთვის. შესაბამისად, ზეწოლისთვის დიპლომატიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა გზების მიენიჭა უპირატესობა.[11] (Nye, 2004)

რბილი ძალის გამოყენების საწყის სათავედ შეგვიძლია მივიჩნიოთ დიდი და ძლიერი სახელმწიფოები. (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი და ა.შ) გლობალიზაციის პირობებში დაჩქარებული ტემპით განვითარდა სხვადასხვა ტექნოლოგიები თუ საშუალებები, რომელთა არამიზნობრივი გამოყენებაც საფრთხის შემცველია, დაზიანებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად,

[11] *Joseph S. Nye , Soft Power. New York, 2004*

სახელმწიფოები ყველა საშუალებას მიმართავენ იმისთვის, რათა შეინარჩუნონ დომინანტის სტატუსი სხვა სახელმწიფოების დასუსტების ხარჯზე. სწორედ ამის დამსახურებაა რომ სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგია იმდენად დაიხვეწა, რომ იგი ფოკუსირდება არამხოლოდ ძალის რომელიმე კონკრეტულ სახეზე, არამედ კომბინირებულად აერთიანებს ყველა მათგანს (ხისტი ძალა, რბილი ძალა ან/და ჭკვიანი ძალა), რადგან შეუძლებელია მხოლოდ ხისტი ან რბილი ძალის საშუალებით ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი და ეფექტური განვითარება.[12]

რბილი ძალის უმარტივეს გამოვლინებად შეიძლება აღვიქვათ დემოკრატიულად ცხოვრების ყოველდღიურობა, რადგან იგი არის დემოკრატიის ერთ-ერთი პროდუქტი. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ. მაგალითად, როდესაც ადამიანებისადმი სიმპატიით ვართ განწყობილი ან მათი იდეოლოგიურ და პოლიტიკურ კურსს ვიზიარებთ. მაშინაც კი, როდესაც კულტურითა და ხელოვნებით ვართ გაოცებულნი. სწორედ მსგავსი ტიპის ღირებულებები უდევს საფუძვლად რბილი ძალის წარმატებულ მუშაობას. საერთაშორისო პოლიტიკაში იგი ხშირად რეალიზდება ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა დიპლომატიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანაათლებლო-შემეცნებითი, დემოგრაფიულ თუ სხვა, რომელთა მოქმედი პირები ერთი შეხედვით საკმაოდ უსაფრთხო და უსუსურ შემსრულებლებად გვევლინებიან, მაგალითად: მეცნიერები, მსახიობები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, ემიგრაციაში მყოფი ინდივიდები და სხვა მრავალი.[13] (ლილუაშვილი .გ, 2018)

*„ის წარმოიშობა ქვეყნის კულტურის მომხიბვლელობით, პოლიტიკური იდეალებით და პოლიტიკით. როცა ჩვენი პოლიტიკა სხვების თვალში ჩანს კანონიერი, ეს აძლიერებს ჩვენს რბილ ძალას“ ჯ. ნაი*

როდესაც რბილი ძალის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა შევეხოთ იმ სეგმენტებს, რომლის საშუალებითაც ხდება მისი გატარება. პირველი და უმთავრესი ეს არის კულტურული სეგმენტი, რომელიც ქმნის საზოგადოებრივ აზრს. ამ სეგმენტში მოიაზრება ისეთი მიმართულებები როგორიცაა: ხელოვნება, განათლება, ლიტერატურა, გართობა, მეცნიერება, რელიგია და სხვა. ჯ. ნაის შეხედულებით, თანამედროვე პოპულარული კულტურაც შეიძლება აღვიქვათ რბილი ძალის რესურსად და ამის

---

[12] *აკობია .ე , საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბილისი 2006 გვ.38*

[13] *ლილუაშვილი .გ, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი 2018*

მაგალითად განიხილავს ჰოლივუდის პოპულარულ ფილმებს, რომელმაც შეიძლება საზოგადობრივი აზრზე უფრო მეტად იმოქმედოს, ვიდრე ამერიკის მაღალჩინოსანთა და პოლიტიკოსთა საუბარმა. ასევე საყურადღებოა გართობა, რადგან პოლიტიკური მესიჯები შეიძლება გადაცემული იქნეს, სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ახალგაზრდობის გართობის თავშეყრის ადგილებში. (კლუბები, ბარები, დისკოტეკები და ა.შ) ამის ნათელი მაგალითია დასავლური როკ კულტურის გავრცელება საბჭოთა კავშირში, რომელსაც ჰქონდა დამანგრეველი პოლიტიკური გავლენა, რადგან საბჭოთა საზოგადოება ისმენდა ყველაფერ კარგს დასავლურ ღირებულებებზე და საზოგადეობრივი აზრი სიმპათიით განეწყო მის მიმართ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება კულტურულ სეგმენტში არის განათლება. მსოფლიოში აღიარებული ფაქტია, რომ აშშ-ს რბილი ძალის ხარისხზე დადებითად იმოქმედა აკადემიურ და სამეცნიერო საგანმანათლებლო გაცვლითმა პროგრამებმა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ წლების განავლობაში საზღვარგარეთ განათლება მიღებული ბავშვის ცხოვრების წესი და ღირებულებები ინტეგრირებულია საცხოვრებელ გარემოსთან, ხოლო სამშობლოში დაბრუნება და მოღვაწობის გაგრძელება პირდაპირ უდრის ამა თუ იმ სახელმწიფოს კულტურისა და ღირებულებების წამოჩენას საკუთარ სახელმწიფოში, რომელიც ხშირ შემთხვევაში დამაზინებელი შეიძლება იყოს ეროვნული კულტურისთვის. ეს მიმართულება განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობს სახელმწიფოს მაღალ ელიტაში. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ინტერვიუს დროს პირდაპირ განაცხადა:

*„მე ვფიქრობ, რომ არ არის უფრო ღირებული აქტივი ჩვენი ქვეყნისათვის, ვიდრე მომავალი მსოფლიო ლიდერების მეგობრობა, რომელთაც აქ მიიღეს განათლება“. ამერიკაში განათლებამიღებული სტუდენტები ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში ამერიკული ღირებულებებით დატვირთულები და ქმნიან „შესანიშნავ კეთილმოსურნეობის რეზერვუარს ჩვენი ქვეყნისთვის“*

შემდეგი სეგმენტი ეს არის პოლიტიკური, რომელიც თავის მხრივ ორ მიმართულებად საშინაო და საგარეოდ იყოფა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ყველა ქვეყანას აქვს თავისი ღირებულებები, რომლებიც რიგი ინდივიდებისთვის მიმზიდველია, ზოგისთვის კი - არა. თუმცა რბილი ძალის კონცენტრირება ხდება არა ორივე მათგანში, არამედ იმ ხალხში ვისთვისაც მიმზიდველია ეს ღირებულებები. შესაბამისად, შეგვიძლია იმის

თქმა, რომ როდესაც კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ღირებულებები იზიდავს ადამიანებს, ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანამ მოახდინა ზემოქმედება მათზე და იგი მიმიზდველია მათთვის. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ძლიერია იდეალები, მით დიდია რბილი ძალის გავლენა.

საკუთარი ღირებულებების საგარეო ურთიერთობებში გატანა სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე ახდენს გავლენას. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში სადაც დემოკრატიული ღირებულებების ნაკლებობაა, დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ სწორედ ეს ღირებულება შეიტანონ, ხოლო ხალხი რომელიც იზიარებს ამ ღირებულებებსა და იდეალებს ზემოქმედებს საკუთარ სახელმწიფოზე. რბილი ძალის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოახდენს ამ ღირებულებებით გაჯერებული საზოგადოება საკუთარ სახელმწიფოზე გავლენას. ხოლო როდესაც მდიდარი სახელმწიფოები ეხმარებიან (სავაჭრო გარემო, საინვესტიციო, საიმიგრაციო, ფინანსური დახმარებები დ.ა.ს) ღარიბ სახელმწიფოებს, რათქმაუნდა, მოსახელობის თვალში იზრდება ამ სახელმწიფოებისადმი მიმზიდველობის ხარისხი, რაც პროგანწყობების საწყისია. პროგანწყობა და შემდგომში პროძალების მიერ უცხო სახელმწიფოს ინტერესების ლობირება თვალნათლივ ასახავს მოსახლეობის უარყოფით განწყობას საკუთარი სახელმწიფო მმართველობისადმი.

რბილი ძლის პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არასახელმწიფოებრივი (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები, ლობისტური ჯგუფები, ტრანსანციონალური კორპორაციები და სხვა) ინსტიტუტები, სადაც ხდება სერიოზული ფინანსური სახსრების მობილიზება. ისინი სხვადასხვა საშუალებებით ქმნიან საზოგადოებრივ აზრსა და განწყობას, რომელსაც შეუძლია ზეწოლა მოახდინოს სახელმწიფოზე (დემონსტრაციები, საპროტესტო აქციები, ქუჩაში გამოსვლები). საინფორმაციო რევოლუციის შედეგად კი მათი საქმიანობა გაცილებით ეფექტური გახდა. ამავე მიმართულებაში შეიძლება განვიხილოთ რელიგიის ფაქტორი. რელიგიაც არის ერთ-ერთი კომპონენტი იმ დიდი ჯაჭვისა, რომელიც საზოგადოებრვი აზრის შექმნით არის დაკავებული. სხვა მიმართულებისგან განსხვავებით რელიგიური ინსტიტუტები მიმზიდველობისა და სიმპათიის ობიექტად იყენებენ მრწამსით განსჭვალულ ქადაგებებს, რომლებიც გაჯერებულია სიყვარულით, ჰუმანურობით, ტოლერანტობით, სამართლიანობით, მშვიდობითა დ.ა.შ ისინი ამ პოლიტიკით მილიონობით ადამიანში აღძრავენ

სიმპათიას და მიიზიდავენ მათ. შეგვიძლია იმის თქმა, რომ რბილი ძალის პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, რომელთა წარმატებული მუშაობა დამაზიანებელია ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ეს ნიშნები კოლექტიურად კონცენტრირდება სხვადასხვა მიმართულებებში და მათი არამიზნობრივად გამოყენება დამაზიანებელია სახელმწიფოს ეროვნული კეთილდღეობისთვის.[14]

- **საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების ხელმისაწვდომობის გამარტივება.**
- **სტუდენტების წახალისება, დაფინანსება, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა და ა.შ**
- **მიმზიდველი იდეალების პოპულიზება და პროპაგანდა.**
- **საზოგადოებრივი განათლების ხელშეწყობა. ენისა და კულტურის ტრადიციების და სხვა მიმართულებების გაცნობა.**
- **რელიგიური ინსტიტუტების სიჭრელე და ლობირება.**
- **არასამთავრობო სექტორის მაღალი აქტიურება.**
- **ეროვნულ ბაზრებზე უცხოური კომპანიების დომინანტობა**
- **სახელმწიფოს დამაზიანებელი კრიტიკა (არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია საშუალებები, კერძო კომპანიები და კორპორაციები)**
- **სახელმწიფოში პროგანწყობების მაღალი ხარისხი.**
- **მოსახლეობის უარყოფითი განწყობა სახელმწიფოს ხელისუფლების მიმართ.**
- **ეროვნული ღირებულებები დაქვეითება/დაკარგვა.**

## 1.3. თურქული რბილი ძალის პოლიტიკა

რბილი ძალის პოლიტიკა საკამოდ დახვეწილია აზიის ქვეყნებში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოა თურქეთი, რომელიც აქტიურად ეწევა საერთაშორისო ასპარეზზე რბილი ძალის პოლიტიკას. იგი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებით. მაგალითად ევროპაში გაზრდილმა თურქი მიგრანტების რაოდენობამ საგრძნობლად შეარყია ევროპული ღირებულებები. თურქული რბილი ძალის პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, გეოგრაფიული მდებარობა, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიას. ასევე მის

[14] *ლილუაშვილი .გ, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი 2018 გვ.84*

უპირატესობას წარმოადგენს ზღვებზე გასასვლელი და სრუტეებზე კონტროლი. აქედან გამომდინარე გეოგრაფიული სტრატეგიული მდებარეობით გამოწვეული ეკონომიკური სარგებელი და ამ ქვეყნის გავლენა ევროპასა და აზიაზე საკმაოდ მაღალია. თურქეთში ასევე განვითარებულია საავიაციო ტრანსპორტი, მსხვილი საერეოპორტო ქსელის საშუალებით მსოფლიოს 1/4 ქვეყნებში დროის მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი, ეს კომფორტული გარემოება უფრო მეტად ზრდის ამ ქვეყნისადმი სიმპატიას. საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა და კონკურენციის პირობებში თურქული პროდუქციის დაბალი ფასები მიმზიდველია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მრეწველობა 50-60 მილიარდს აღწევს წელიწადში, რომელიც არის ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტი მსოფლიოს არაერთ ბაზარზე (მათ შორის საქართველოში) შესაბამისად, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ბაზრების ხელში ჩაგდება და იქ დომინანტობა არის განმსაზღვრელი ფაქტორი რბილი ძალის პოლიტიკისა.

თურქეთი ეკონომიკური აღმავლობის შემდეგ, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ევროპულ სახელმწიფოებს. განსაკუთრებული როლი ითამაშა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და ბიზნეს კომპანიებმა, რომლებიც მომავალში თურქული რბილი ძალის პოლიტიკის გამტარებლებად მოევლინა საერთაშორისო ასპარეზს. თურქეთში დემოკრატიის განვითარება გახდა მაგალითი ისლამური სახელმწიფოებისთვის, ამ ყველაფერმა კი გაზარდა თურქული ზეგავლენა, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე ასევე აზიის ქვეყნებსა და ევროპაზე. რბილი ძალის რეალიზებისთვის თურქეთს ახასიათებს მრავალმხრივი საქმიანი ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. თურქეთი ზეწოლისა და იძულებისთვის აქტიურად გამოიყენებს დიპლომატიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა საშულებებს. ხოლო ბოლო რამდენიმე ათწლეულში თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ ხელი შეუწყო მათი რბილი ძალის პოლიტიკის სრულყოფილებას, რომელიც გააქტიურდა ისეთ ქვეყნებში, სადაც თავს იჩენს თურქული გეოპოლიტიკური ინტერესები. რბილი ძალის ეს ტალღა პირველ რიგში შეეხო ცენტრალური აზიის ქვეყნებს და კავკასიის რეგიონს, ასევე სამხრეთ ევროპის რიგ ქვეყნებს. მთავარი გარეპოლიტიკური ფაქტორი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა და მათში თურქული ღირებულებების შეტანა. თურქეთი მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს რეგიონის ქვეყნებთან და გამოდის ინიციატივით, რათა მოხდეს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება, ენისა და კულტურის

შემსწავლელი ცენტრებისა და ორგანიზაციების გახსნა, რეგიონში საერთაშორისო უნივერსიტეტებისა და სკოლების დაარსება. ეს ყველაფერი კი აშკარად მიანიშნებს თურქული ღირებულებების გაზრდის მცდელობაზე. თურქეთის რბილი ძალა ხასიათდება ეროვნული მაიდენტიფიცირებელი ღირებულებების სიძლიერით (კულტურა, რელიგია, ენა, ტრადიციები დ.ა.შ) და ადამიანური რესურსით ანუ დომინანტურად ზრდადი მოსახლეობით. ეს უკანასკნელი კი, რიგ შემთხვევაში საფრთხის შემცველია ევროპის პატარა სახელმწიფოებისთვის, რომელთაც ახასიათებთ დემოგრაფიული გამოწვევები. ევროპელი ავტორები ღიად საუბრობენ, რომ თურქეთის ევროკავშირთან ინტეგრაციით გაიზარდა თურქული ღირებულებებისადმი ინტერესი და სწრაფვა ევროპაში, რაც ამავე დროს უარყოფითად აისახება ევროპულ ღირებულებებზე, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს წარმოადგენენ, განსაკუთრებით, რელიგიური კუთხით. თურქეთის დემოგრაფიულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, მისი ევროკავშირში გაწევრიანება შეცვლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ მდგომარეობას ევროპაში. თურქეთის მოსახლეობის რაოდენობა არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება დღემდე ვერ მოხერხდა. [15]

*„თურქეთის დაბადება, როგორც რბილი ძალის პოლიტიკის ახალი აქტორი“* - ამ სიტყვებით ახასიათებს მას რუსი ავტორი ელიზაბეტა სოფონკინა, რომელიც საუბრობს თურქული რბილი ძალის პოლიტიკის გაძლიერებაზე აზიისა და კავკასიის რეგიონში. სტრატეგია „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ არის თურქული რბილი ძალის პოლიტიკის საყრდენი ამ სახელმწიფოებში. თურქეთი ხშირად გამოდის იმ იდეით, რომ მეზობელი სახელმწიფოები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული რეგიონალურ და საერთაშორისო პროექტებში, უნდა მოხდეს ურთიერთოებების უფრო მეტად დათბობა და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება. თურქეთის გავლენას ისიც ზრდის, რომ იგი არის უსაფრთხოების გარანტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფო. განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენად ახასიათებს სოფონკინა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეებში

[15] *Зубкова А.И. "МЯГКАЯ СИЛА ТУРЦИИ: ФЕНОМЕН КАК ИНСТРУМЕНТА КУЛЬТУРНОЙ ДИПЛОМАТИИ" Москва, Россия, 2005* https://cyberleninka.ru/article/v/myagkaya-sila-turtsii-fenomen-soap-power-kak-instrument-kulturnoy-diplomatii

თურქეთის აქტიურობასა და ახალგაზრდობის ჩართულობას ამ პროცესებში, რომელიც წარმატები ხორციელდება.[16]

თავად თურქი ავტორების შეფასებით, აზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთის გეოპოლიტიკური როლის ზრდა განაპირობა მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ, რომელიც ასრულებს „ხიდის“ ფუნქციას ევროპის, აზიისა და კავკასიის რეგიონებისთვის. სატრანზიტო გზებზე კონტროლის დამყარება და სტაბილური გარემოს შექმნა თურქეთის საგარეო ინტერესებში მუდმივად შედიოდა. ხოლო დღესდღეობით, როდესაც განსაკუთრებით განვითარდა თურქეთის სატრანზიტო ფუნქცია და საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოება, გაიზარდა დანარჩენი მსოფლიოს ინტერესები თურქეთისადმი. ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო თურქული რბილი ძალის მოდერნიზაციას. თურქული წყაროების მიხედვით, თურქეთმა შეძლო რეგონში სტაბილურობის ჩამოყალიბება და განმტკიცება. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში, თურქეთმა სცადა რეგიონის რეკონსტრუქცია და იქ უსაფრთხოების გარანტიის შექმნა. ასე ახასიათებს თურქი ავტორი მერჰან კამარვა თავის წიგნში „დიდი თამაშები დასავლეთ აზიასა და კავკასიაში“ თურქეთის საგარეო პოლიტიკას და რბილ ძალას.

*„რბილი ძალის გამოყენება იყო და არის ინსტრუმენტი თურქეთისთვის, რათა დაამყაროს ურთიერთობები და შეაღწიოს სამეზობლოში“* [17]

ხოლო იბრაჰიმ კალინის ნაშრომში „Soft Power and Public Diplomacy in Turkey“ იგი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ თურქული რბილი ძალაუფლება კონცენტრირებულია, არამხოლოდ გეოგრაფიულ კომპონენტში, არამედ ისტორიულ-კულტურულშიც. მან ფეხი მოიკიდა აზიის, კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და ევროპის ქვეყნებში. ეს ყოველივე ახალ შესაძლებლობებს მატებს თურქეთს და მასთან ერთად მის მოკავშირე სტრატეგიულ პარტნიორებსაც, რომლებიც მეგობრულად არიან განწყობილნი თურქეთის მიმართ. განახლებული თურქეთის დიპლომატიის ამოცანაა ქვეყნის ღირებულებების მსოფლიოს მასშტაბით ფართო აუდიტორიისთვის წარდგენა და მათი მოზიდვა. თურქეთი ამ მიდგომით ახალ იდენტობას ქმნის, რომელსაც თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ღრმა გავლენა ექნება.[18]

---

[16] *Сафонкина. Е. "Турция как новый актор политики мягкой силы", 2015*

[17] *Kamrava .M „The Great Game in West Asia, and the South Caucasus" 2017 გვ.65*

[18] *İbrahim .K „Soft Power and Public Diplomacy in Turkey" 2011 გვ.37-72*

თურქული რბილი ძალის წარმატებულ მუშაობაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში თურქეთის სახელმწიფოს როლი გაიზარდა. იგი განაპირობა სახელმწიფოების ურთიერთდაკავშირების ახალმა, მოქნილმა თეორიულ-პრაქტიკულმა მიდგომამ, რომელიც ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

- ბალანსი დემოკრატიასა და უსაფრთხოებას შორის.
- "ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან"
- პრევენციული და პრიორიტეტული სამშვიდობო დიპლომატია.
- მრავალგანზომილებიანი საგარეო პოლიტიკა და სხვა.
- რითმული დიპლომატია და სხვა.

თითოეულ პრინციპს აქვს გარკვეული თვისებები, რომელთა კომბინირებული მუშაობა ზრდის მიზნის მიღწევის ხარისხს. მათი გამოყენება აუცილებელია თურქეთისთვის, რათა მოხდეს რთულ საერთაშორისო გარემოში თურქეთის დომინანტის სტატუსის შენარჩუნება. შესაბამისად, შეგვიძლია იმის თქმა, რომ თურქეთი გახდა მაგალითი დიპლომატიური კულტურის განვითარების და შეიცვალა დამოკიდებულება *"თურქის საუკეთესო მეგობარი თურქია"*. დღეს თურქეთი აქტიურად განაგრძობს მუშაობას რეგიონში დომინანტის სტატუსისა და სტაბილურობის გასამტკიცებლად, რაშიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს რბილი ძალის პოლიტიკა.

# II თავი

# ქართულ-თურქული ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

ნაშრომის მეორე თავში ვისაუბრებთ თუ რა როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ ახალ ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე, სატრანზიტო დერეფნებისა და რეგიონალურ ენერგოუსაფრთხოების

პროექტებში თანამონაწილეობაზე, რომელიც არის განახლებული ურთიერთობის შედეგი. ნაშრომის ამ თავში შევეხებით ლობიზმის მნიშვნელობას, მის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. განვიხილავთ რამდენად მნიშვნელოვანია ლობიზმის დარეგულირება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის და საბოლოოდ ვისაუბრებთ ლობიზმის იმ ელემენტებზე, რომლებიც თავს იჩენს ქართულ-თურქულ ურთიერთობებში, მათ შორის სადაზვერვო ხასიათის ლობიზმზე. ასევე შევეხებით წარმოშობით „ქართველი თურქების“ გავლენას თურქულ პოლიტიკაზე. (ისინი როგორც საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ მოქმედი პირები)

## 2.1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და განახლებული ურთიერთობები თურქეთთან

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიაში ნეგატიური და ტრაგიკული მოვლენებით ხასიათდება, რომელიც გახდა დამოუკიდებლობის ფასი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო დადგა მძიმე რეალობის წინაშე, რაც გარე ძალების მიერ იყო პროვოცირებული, სამხედრო გადატრიალება, სამოქალქო ომი, ეთნიკური კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისი. ეს მოვლენები უსწრებდა წინ ქართულ-თურქულ ურთიერთობებს, რომლის განახლება ფაქტობრივად დაიწყო შევარდნაძის გაპრეზიდენტების შემდეგ, რადგან მანამდე არსებული შიდა სახელმწიფოებრივი მდგომარეობის პირობებში საგარეო პოლიტიკის სპექტრი ფაქტობრივად არც არსებობდა. ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი იყო საქართველოში არსებული შიდა აშლილობა. სიტუაციის დასტაბილურების შემდეგ თურქეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიწყო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დაფიქსირება რასაც მოჰყვა ურთიერთობების განახლება. ახალი ურთიერთიერთობა პირველ რიგში პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ სექტორებს შეეხო.

მეზობელმა სახელმწიფომ საქართველოსთვის მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში დადებითი როლი ითამაშა და გარკვეულწილად რუსეთი ჩაანაცვლა. თურქეთი გახდა მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და სტრატეგიული მოკავშირე, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა. ენერგო რესურსებით მდიდარ სახელმწიფოებთან ერთად საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასაც მიენიჭა უპირატესობა, კერძოდ მან შეითავსა ხიდის ფუნქცია ევროპასა და აზიას შორის. სწორედ ამ დროს დაიბადა

ევროპა - კავკასია - აზიას შორის ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის იდეა. 1993 წელს ქ.ბრიუსელში ევროკომისიის მიერ დეკლარირდა რეგიონალური პროგრამა-„TRACECA“ რომელიც მიზნად ისახავდა ტრანსპორტის სახეობების - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების-მშენებლობა, როკონსტრუქციასა და ამ დერეფნის ევროპულ დერეფნებთან მიერთებას. ამ იდეით კი კვლავ აღდგა "დიდი აბრეშუმის გზის" ფუნქცია, რომელშიც საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეიძინა მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია. ამის ფონზე დაიწყო მილსადენების ქსელის განვითარება, რომელსაც შავ და კასპიის ზღვებს შორის უნდა გაევლო, ეს კი პირდაპირ მიანიშნებდა საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის დასაწყისზე. ნავსადგურების, საავტომობილო და სარკინიგზო ხაზების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციამ დააჩქარა სატრანზიტო კოლიდორის განვითარება. 1996 წელს გაფორმდა "სარახსის ხელშკრულება" და დაიწყო ყაზახეთიდან ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება თურქეთსა და ევროპაში (აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით). საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე, ბაქო-სუფსის ტერმინალმა ცხადყო რომ ენერგეტიკული ასპექტი და საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია იყო სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტი. ამ შემთხვევაში სტაბილურობის ეფექტმა ხელი შეუწყო ახალი საერთაშორისო ენერგოპროექტების მოზიდვას. მაგალითად ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის როგორიცაა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზერუმი, შაჰ-დენიზის გაზსადენი, რომლიდნაც 5-8 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება ევროპის მიმართულებით. კიდევ ერთი წარმატებული პროექტია ყარსსა და ახალქალაქს შორის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ბაქო-თბილისის რკინიგზის მონაკვეთს უერთდება. მყიფიერი თანამშრომლობის შედეგად საქართველო თურქეთთან ერთად გახდა მთავარი ქვეყანა ენერგო სატრანზიტო კორიდორში, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს აზია-კავკასია-ევროპას.[19]

უყურადღებოდ არც სამხედრო სფერო დარჩენილა. სამხედრო თანამშრომლობა ანკარასა და თბილისს შორის 1990-იან წლებში დაიწყო, რომელიც დადებითად აისახა საქართველოს სამხედრო პოტენციალზე. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფო ხელს უწყობდა სამხედრო

[19] *ჩიტაძე .ნ "გეოპოლიტიკა" .გვ154-155*

წვრთნებს, ატარებდა ტრენინგებს, რისი მაგალითიცაა „United Military Academy“ რომლის პირობებშიც ხდება ქართულ-თურქული თანამშრომლობის შედეგად ჯარის მოდერნიზაცია. მათ ინსტრუქტორთა დიდი ნაწილი თურქულ სამხედრო პირებითაა დაკომპლექტებული და სამხედრო გამოცდილებას უზიარებს სტრატეგიულ მოკავშირეს. ამ ურთიერთობის პროდუქტია მარნეულის სამხედრო აეროდრომის* განახლება. ქართული და თურქული ჯარების მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში (მაგალითად კოსოვოში, KFOR-ში) კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს იმ გარემოებას, რომ თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობა არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალება.[20]

იგივეს თქმა შეგვიძლა სამეცნიერო-საგანმანათლებო სივრცეზე . საქართველოს განათლების სექტორში საქმიანობას ეწეოდა და ეწევა რამდენიმე მსხვილი საგანმანათლებლო ცენტრი. მაგალითად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (International Black Sea University), რომელიც დღეს ერთ-ერთ ელიტარულ სასწავლო დაწესებულებას წარმოადგენს. ასევე Çağlar-Eğitim-Kurumları-სკოლები. საქართველოში მრავლადაა სხვადასხვა საგანამნათლებლო ცენტრები, სადაც შესაძლებელია თურქული ენის, კულტურის, ტრადიციები და ა.შ შესწავლა, მაგალითად „იუნუს ემრეს“კულტურის ცენტრი, რომელიც გერმანული გოეთეს ინსტიტუტის მსგავსია.[21]

ამ ფონზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი ქართველი მიგრანტებისთვის მნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი ქვეყანა გახდა. გეოგრაფიული სიახლოვისა და უვიზო რეჟიმის გამო საქართველოდან თურქეთში სამსახურებრივი სახის მიგრაციასთან გვაქვს საქმე. თურქეთში ძირითადად ქალები „ოჯახის ქალებად სამუშაოდ“, მამაკაცები კი მეტწილად სეზონურ სამუშაოზე მუშაობენ (მშენებლობაზე, ან/და სოფლის მეურნეობაში.) მოსახლეობა ასევე დასაქმებულია საზღვრისპირას არსებულ წვრილ სავაჭრო დაწესებულებებში. შეგვიძლია იმის თქმა, რომ განახლებული ურთიერთობები თურქეთთან, როგორც პოზიტიური ასევე გარკვეული ნეგატიური მოვლენებით ხასიათდება. აშკარაა ბაზრის ხელში ჩაგდებისა და რბილი ძალის გამოვლინების სხვადასხვა ასპექტები,

---

* *აეროდრომი - აეროპორტი, სადაც განთავსებულია მხოლოდ სამხედრო საფრენი საშუალებები.*

[20] *ფცქიალაძე .თ „საქართველო თურქეთის საგარეო პოლიტიკაში“ თბილისი 2017*

[21] *სმოლნიკი .ფ, ვაისი .ა, ზაბანოვა .ი „მყიფე თანასწორობა თურქეთი, საქართველო და დე ფაქტო აფხაზეთი“ 2018 წელი.* https://ge.boell.org/ka/2018/02/05/mqipe-conascoroba-turketi-sakartvelo-da-de-pakto-saxelmcipo-apxazeti

რომელიც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველია. მართალია, დღეს ქართულ-თურქული ურთიერთობები განსაკუთრებით მეგობრულია, თუმცა გარკვეულ პოტენციურ საფრთხეებზე თვალის დახუჭვა და გულგრილი მიდგომა შეიძლება მეტად დამაზიანებელი გამოდგეს მომავალში ქვეყნის კეთილდღეობისთვის. ამასთან ერთად გასათვალსიწინებელია ის დახვეწილი, დიპლომატიური მიდგომები და საშუალებები რითაც თურქეთი ცდილობს საკუთარი მიზნებისა და ინტერესების გატარებას მეზობელ სახლმწიფოებში.

## 2.2. ლობიზმის პრაქტიკა რბილი ძალის პოლიტიკაში და მისი ელემენტები ქართულ-თურქულ ურთიერთობებში

რბილი ძალის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ოპონენტ სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენასა და შეღწევადობის მოპოვებაზე. შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოებმა ზემოქმედების მრავალი ტექნოლოგია შეიმუშავეს. თანამედროვე ეტაპზე, რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთ ხელშემწყობ მიმართულებად ლობიზმი შეგვიძლია მივიჩნიოთ. მან საერთაშორისო ურთიერთობებში უკუაგდო ხისტი ძალის გამოყენების საშუალებები და უპირატესობა რბილი ძალის გამოყენების პოლიტიკისაკენ მიმართა. ამის შედეგადაც განსაკუთრებით გართულდა საფრთხეებისადმი სახელმწიფოთა ბრძოლისუნარიანობა. მაგალითად, ლობიზმი თავსებადია სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე მიმართულებასთან (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო) სადაზვერვო ხასიათის ლობიზმით შესაძლებელია კორუფციის, მონოპოლიის, ბაზარზე არსებული ავანტიურისტული გარიგებების, ფულადი მაქინაციებისა და სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებელი სხვადასხვა ქმედებების წახალისება, რაც ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელ ზემოქმედებას იწვევს.

ტერმინ „ლობიზმის“ წარმოშობა დაკავშირებულია ინგლისურ სიტყვასთან „LOBBY”, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფო მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედებას, რაც მოსაზრებას, მისი სადაზვერვო მიზნებით გამოყენების შესახებ, კიდევ უფრო ამყარებს.

ლობიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ მისი როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში, რადგან უკიდურესად უკონტროლო ლობირება საფრთხის შემცველია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, შესაბამისად მისი დარეგულირება ყველა სახელმწიფოში ინდივიდუალურია,

რომელიც საკანონმდებლო დონეზეა აყვანილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომელიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფკავშირებისა თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს.[22]

II მსოფლიო ომის შემდეგ 1946 წელს აშშ-ში ამოქმედდა ლობიზმის ფედერალური რეგულირების კანონი (Federal Regulation of Lobbying Act), მასში პირველად განისაზღვრა ლობისტის ცნება. „ლობისტი არის ადამიანი, რომელიც თავად ან აგენტებისა და დაქირავებული პირების მეშვეობით, პირდაპირ ან ირიბად, დაკავებულია საჩუქრებისა და შემოწირულობების შეგროვებით, რომლებიც შემდეგ გამოიყენება გავლენის მოსახდენად აშშ-ის კონგრესის საკანონმდებლო პროცესზე". ამ კანონის თანახმად, ლობისტს ევალებოდა დარეგისტრირება და მოხსენება კონგრესისთვის 500 დოლარზე მეტი ღირებულების შემოწირულობის გადაცემის შესახებ, რაც დროის მცირე მონაკვეთში კარგი საშუალება გახდა ლობიზმის კონტროლისა. თუმცა 1954 წელს საკანონმდებლო ცვლილებებმა შეამცირა კანონის მოქმედების არეალი. კონგრესის წევრებს მიეცათ ლობირების უფლება, თუ ამაში ისინი საკუთარ სახსრებს დახარჯავდნენ. ამასთან ლობისტების ჯგუფიდან გაქრა ის მოძრაობები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის შექმნით იყვნენ დაკავებულნი. ამ პროცესით მნიშვნელოვნად შემცირდა კანონის ეფექტურობის ხარისხი. სახელმწიფოების მხრიდან ლობიზმის სადაზვერვო ხასიათის გამოსარიცხად აქტიური საკანონმდებლო ორგანიზების მიუხედავად მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა დღემდე ვერ მოხერხდა, რაზეც მეტყველებს კანონმდებლობის 1995 და 2007 წლებში მეტად გამკაცრება.[23]

საქართველოს მიდგომა ლობიზმის საკანონმდებლო დარეგულირების შესახებ, საქართველოს პარლამენტის მიერ პირველად ძალაში შევიდა და დამტკიცდა 1998 წელს, რომელშიც ცვლილებების შეტანა ხუთჯერ განხორციელდა (ერთხელ მიხეილ სააკაშვილის, ხოლო, ოთხჯერ - გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის დროს). დღევანდელი კონსოლიდირებული ვერსია არეგულირებს კანონის მოქმედების სფეროს,

---

[22] *გაიპარაშვილი ა. „ ლობიზმის პრაქტიკა და მექანიზმი დასავლეთსა ( აშშ-სა და ევროკავშირის მაგალითზე) და პოსტსაბჭოთა სივრცეში" (სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე) თბილისი 2018*

[23] *ქოიავა რ. „ლობიზმის დაბადება ამერიკის შეერთებულ შტატებში" 2018* https://1tv.ge/analytics/lobizmi-amerikis-sheertebul-shtatebshi/

ლობისტად რეგისტრაციის წესებსა და უფლებას, ლობისტის სამართლებლივი მდგომარეობის შეწყვეტა-ჩამორთმევას, ლობისტის უფლება-მოვალეობებს, მათ ანგარიშგებასა და საქმიანობის საჯაროობას. ასევე სხვა სამართლებლივ ნორმატიულ აქტებს. საქართველოს კანონში, „ლობისტური საქმიანობის შესახებ“, განმარტებულია, რომ „ლობისტურ საქმიანობად ითვლება საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად დარეგისტრირებული პირის ანუ ლობისტის ისეთი ზემოქმედება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.“ ლობისტად დარეგისტრირების უფლება აქვს საქართველოს ნებისმერ ქმედითუნარიან მოქალაქეს. საქართველოს კანონმდებლობით, ლობისტად დარეგისტრირება და ლობისტური საქმიანობა საკმაოდ მარტივ ფენომენს წარმოადგენს, საკმარისია სულ რამოდენიმე ბიუროკრატიული საფეხურის გავლა. რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ლობისტს ეძლევა ისეთი სამართლებლივი უფლებები როგორებიცაა: წარმომადგენლობითი ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში შესვლის და გადაადგილების უფლება, ნორმატიული აქტის პროექტის განხილვაში მონაწილეობის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება. ყოველივე კი სადაზვერვო შეღწევადობის პირობებში ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს[24].

რაც შეეხება ლობისტის მოვალეობებს, მისი უფლებებისგან განსხვავებით, ეს არც ისე დიდი ნუსხაა, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს.

<u>მუხლი 13. ლობისტის ანგარიშგება</u>

1. ლობისტი ვალდებულია რეგისტრაციის დღიდან არა უგვიანეს ყოველი მომდევნო თვის პირველიდან ათ რიცხვამდე, აგრეთვე ლობისტის სამართლებრივი მდგომარეობის შეწყვეტის დღიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში წარადგინოს ანგარიში, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) დავალებით გათვალისწინებული მიზნებისათვის მისთვის გადაცემული ფულადი თანხების, სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობების შესახებ, ფულადი თანხის ოდენობის, სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობის სახეობის, მათი გადაცემის თარიღისა და პირობების, აგრეთვე გადამცემი პირის მითითებით;

ბ) ლობისტის მიერ დავალების შესასრულებლად გაწეული ხარჯების შესახებ, მათი გაწევის მიზნის, თარიღისა და პირობების მითითებით.

2. ანგარიშს უნდა დაერთოს იმ დოკუმენტების ოფიციალური ასლები, რომლებიც ადასტურებს ანგარიშში მითითებულ მონაცემებს.

3. ანგარიშში შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე პერიოდის მონაცემები.

4. ანგარიში წარედგინება იმ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომელმაც მოახდინა პირის ლობისტად რეგისტრაცია, და ინახება, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატში, ავტონომიური რესპუბლიკის

---

[24] *საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, 30/09/1998/* https://matsne.gov.ge/ka/document/view/13552?publication=6

უმაღლესი საბჭოს აპარატში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ბოლო ანგარიშის წარდგენის დღიდან 2 წლის განმავლობაში

*წყარო: საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, 30/09/1998/*

მიუხედავად იმისა, რომ ლობისტური საქმიანობა საჯარო და გამჭვირვალეა, რომლის შესახებაც ინფორმაციის მიღების უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, მაინც არსებობს მაღალი რისკები და საფრთხეები საქართველოში ლობიზმის ეფექტური რეგულირებისა და საქართველოს კანონმდებლობის ქმედითუნარიან მუშაობასთან დაკავშირებით. ლობიზმის არაფექტური დარეგულირების ქართულ მიდგომაზე მეტყველებს, უცხოური კომპანიების მხრიდან ეროვნულ ბაზარზე სადაზვერვო ხასიათის ნიშნების მქონე შეღწევადობის პროცესის სისტემურობა. მაგალითად, ჩინური კომპანია „კოპრი-სინოჰიდრო" რომელიც მონაწილეობას იღებს ისეთი სტრატეგიული ობიექტის მშენებლობაში, როგორიცაა საქართველოს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი. „სინოჰიდრო-მ" დაბალი ფასების საშუალებით შეძლო ტენდერის მოგება, რითაც სახელმწიფომ შეამცირა ხარჯები, თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ ამავე კომპანიამ უხარისხოდ აწარმოა სამშენებლო სამუშაოები ყირგიზეთში ბიშკეკი-ნარინი-ტორუგარის გზის მშენებლობისას, რის გამოც 2,2 მილიონი დოლარით დაჯარიმდა. მაღალი ალბათობით სახეზე გვაქვს კორპორაციული ჯაშუშობის ნიშნების შემცველი ეფექტური ლობირების კვალი.[25]

ეროვნულ უსაფრთხოებაში, სადაზვერვო ხასიათის ნიშნების შემცველი ლობიზმის როლზე წარმოდგენის გასაღრმავებლად, მიმოვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. 2013 წლის თებერვალში 950 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო კონტრაქტი მოიგო ბრაზილიურმა კომპანია „Embraer"-მა და მისმა ამერიკულმა პარტნიორმა „Sierra Nevada Corp."-მა. მათ კონკურენციას უწევდა ამერიკული კორპორაცია „Beechcraft." ბრაზილიური კომპანიის გამარჯვება განაპირობა ლობისტების საქმიანობამ, რომლებმაც კონგრესმენები ბრაზილიური პროდუქციის უპირატესობაში დაარწმუნეს. (ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბროთ შემდეგ ვერსიებზე: 1. მაღალი ალბათობით აშშ-ს აწყობდა მოვლენების ასე განვითარება 2. ბრაზილიურმა დაზვერვამ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ დახმარება გაუწია საკუთარ კომპანიას). ამავე მიმართულებით საყურადღებოა კანონპროექტის „SOAP" ჩავარდნის ორგნიზებული პროცესი, რომელიც ინტერნეტში მეკობრეობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ინტერნეტ კომპანიების ლობისტებმა შეძლეს დაერწმუნებინათ კანონმდებლები, რომ ამ

[25] *მედია ბიზნესისთვის (M2B) "ყირგიზეთში კოპრი-სინოჰიდრო დააჯარიმეს"* https://m2b.ge/post/180894-yirgizetsi-gzis-uxarisxo-mseneblobistvis-kompania-kopri-sinohidro-2-2-mln-it-daajarimes

კანონის მიღება ინტერნეტში ცენზურას შეუწყობდა ხელს, მიუხედავად იმისა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ მეკობრეობა ეკონომიკური ხასიათის ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. მოყვანილი მაგალითების ერთობილობა მიანიშნებს ლობიზმის, როგორც კორპორაციული დაზვერვისათვის გამოყენებად მნიშვნელოვან მიმართულებაზე.

სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების აქტიური მონაწილეობით კომპანიებს აქვს შესაძლებლობა, დაუმსახურებლად მიაღწიონ მაღალი ღირებულების მქონე კონტრაქტების გაფორმებას, ამ პროცესში კი ჯაშუშობის როლი მნიშვნელოვანია. ზემოთ განხილული მოვლენები და ფაქტები კარგად ასახავს ლობიზმის როლს, რბილი ძალის პოლიტიკაშიც. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადაზვერვო საქმიანობის პირობებში, რადგან ეფექტური ლობირების საშუალებით შესაძლებელია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და ა.შ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება.

ქვეყანაში ლობისტური ჯგუფებისა და ლობიზმის გავლენის გაძლიერების ერთ-ერთი წინაპირობაა მოქალაქეობის მინიჭების პროცესი. ამ საშუალებით, ფაქტობრივად იქმნება ინტერესთა გამტარებელი ჯგუფები დაზიანებას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში, რომელმაც დიდ ალბათობით სხვადახვა სახელმწიფოს ინტერესები უნდა გაატაროს. მაღალ განვითარებულ სახელმწიფოებში განსაკუთრებით გართულებულია მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა, რაც არის ლობიზმის დარეგულილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება საკანონმდებლო თუ სხვა ღონისძიებებთან ერთად.

მაგალითად, აშშ-ის მოქალაქეობის მიღება არის საკმაოდ კომპლექსური ფენომენი, რომლის მისაღებად საჭიროა რთული და ხანგრძლივი პროცედურების გავლა. მოქალაქეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს, სულ ცოტა, ისეთ სამაგალითო მოქალაქის პირობებს როგორიცაა :

- მწვანე ბარათის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული პროცედურების წარმატებით გავლა.
- აშშ-ის მოქალაქეზე ქორწინება და მასთან თანაცხოვრება არანაკლებ 3 წლისა.
- აშშ-ის ტერიტორიაზე ფიზიკურად ყოფნა სულ ცოტა 18 თვე მაინც.
- აშშ-ის შეიარაღებულ ჯარებში სამსახური 1 წლი მაინც.
- ინგლისური ენის ცოდნა.
- აშშ-ის ისტორიისა და კონსტიტუციის შესახებ ზოგადი წარმოდგენა და ა.შ

ამის გარდა ნატურალიზაციის განსაკუთრებულ მოთხოვნას წარმოადგენს "მორალური ხასიათი", რომელიც ითვალისწინებს კანონმორჩილებას. საიმიგრაციო სამსახური ითვალისწინებს პირის დანაშულებრივ წარსულს.

ინდივიდი რომელიც გულგრილია ამ საკითხისადმი ვერ მიიღებს მოქალაქეობას. [26]

იგივეს თქმა შეიძლება დიდი ბრიტანეთზეც, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი რითმული ნატურალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მუდმივად მკაცრდება. მაგალითად ბოლოს 2018 წელს კიდევ ერთხელ გამკაცრდა ინგლისური ენის გამოცდა და ბრიტანეთის კულტურისა და ისტორიის ცოდნის შესახებ ტესტი, რომელიც ყველა მოქალაქეობის და მუდმივი ბინადრობის მსურველმა უნდა ჩააბაროს. ბრიტანეთის მოქალაქეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს :

- გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე ბავშვის დაბადება და მისი ერთი მშობელი მაინც უნდა იყოს ბრიტანეთის მოქალაქე
- ბრიტანეთის მოქალაქე ხდება ის ბავშვიც, რომელიც გაჩნდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და რომლის მშობლები ცნობილი არაა.
- პირი უნდა ცხოვრობდეს 5 წლის მანძილზე გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე
- ბრიტანეთის მოქალაქეზე ქორწინება და მასთან თანაცხოვრება არანაკლებ 3 წლიანი თანცხოვრება გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და ა.შ.

დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის განაცხადებაში კარგად ჩანს ბრიტანეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

*„ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ გახდნენ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები და ლეგალურად იცხოვრონ ამ ქვეყანაში, ჰენრიჰ VIII ცოლს რა ერქვა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი დამოკიდებულება ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულელებისადმი, იმ ფასეულობებისადმი, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას აერთიანებს .*[27]

მოქალაქეობის მასიური მინიჭება განსაკუთრებით სახიფათოა ისეთ ქვეყნებში სადაც მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელეა. ამ მიმართულებით საქართველო მოწინავე ადგილზე დგას რეგიონის ქვეყნებში. დღეს

---

[26] *აშშ-ს საელჩო საქართველოში* „აშშ-ს მოქალაქეობის მსურველთათვის“ https://search.usembassy.gov/search/?utf8=%E2%9C%93&affiliate=dos_emb_eur_georgia_ka&query=%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90&commit=%EF%80%82

[27] *Mail-onlain "Citizenship test must focus on British values, says Home Secretary" 2018*

https://www.dailymail.co.uk/wires/pa/article-6231305/Citizenship-test-focus-British-values-says-Home-Secretary.html

საქართველოში მრავალი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფი იყრის თავს, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. თუმცა რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღება ყველაზე მარტივ ფენომენს წარმოადგენს. კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ორი გზითაა შესაძლებელი : 1. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებით და 2. ნატურალიზაციით.

**მუხლი 10.**

*1. საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს:*

*ა) პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;*

*ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) დაბადებული პირი, თუ მისი არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს;*

*გ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა;*

*დ) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირი, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია.*

*2. ნატურალიზაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით.*

*3. ნატურალიზაციის სახეებია:*

*ა) საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება;*

*ბ) საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება;*

*გ) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება;*

*დ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება.*

**მუხლი 15. სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება**

*სხვა ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით. სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა, ძალაში შედის საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.*

*წყარო: საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2018*

ამ კანონიდან გამომდინარე პრეზიდენტს აქვს უფლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა სხვადასხვა წესით, რითიც პირი იძენს ორამაგი მოქალაქის სტატუსს. სწორედ ხელისუფლების ეს ინსტიტუტი და მისი მაღალჩინოსნები შეიძლებაა განვიხილოთ ლობისტებისტური ზემოქმედების სამიზნედ, მათ შორის თურქეთის მხრიდან. თუკი გავითვალისწინებთ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების

სტატისტიკურ მონაცემებს, შესაძლოა ადგილი ქონდეს ეფექტური ლობირების კვალს.

| 2005-2013 წლებში თურქეთიდან საქართველოში მიგრირებულ პირთა რაოდენობრივ სტატისტიკა, საცხოვრებელი სტატუსის მიხედვით. | |
|---|---|
| 2005 წელი | მოქალაქეობა 44, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 1, სულ 49 |
| 2006 წელი | მოქალაქეობა 77, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 826, სულ 928 |
| 2007 წელი | მოქალაქოება 190, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 1249, სულ 1477 |
| 2008 წელი | მოქალაქეობა 126, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 1109, სულ 1244 |
| 2009 წელი | მოქალაქეობა 30, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 877, სულ 915 |
| 2010 წელი | მოქალაქეობა 31, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 816, სულ 865 |
| 2011 წელი | მოქალაქეობა 70, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 1090, სულ 1190 |
| 2012წელი | მოქალაქეობა 66, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 999, სულ 1087 |
| 2013წელი | მოქალაქეობა 2832, მუდმივი ბინადრობა დროებითი ბინადრობა 844, სულ 3696 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

იუსტიციის სამინისტროს ინოფორმაციით 2012-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 32 017-მა უცხო ქვეყნის მოქალაქემ მიიღო, სადაც 3 135 ადამიანი იყო თურქეთის მოქალაქე, 2013 წელს საქართველოს მოქალაქეობა, მუდმივი და დროებითი ბინადრობის სტატუსი მიენიჭა 3696 თურქეთის მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევების დიდი რაოდენობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს საპრეზიდენტო ვადის უკანასკნელ თვეებში თურქეთის მოქალაქეების უპრეცენდენტო რაოდენობას გამარტივებული წესით მიანიჭა საქართველოს

მოქალაქეობა. 2013 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა დაახლოებით იმდენ თურქეთის მოქალაქეს, რამდენსაც ერთობლივად 2005-2012 წლებში. [28]

ამ მოცემულობიდან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი ჭარბი რაოდენობით მოქალაქეობის მინიჭება შეიძლება განპირობებული იყოს კერძო პარტიული ინტერესებით, რომელიც სახელმწიფო ინტერესების უკანა ფლანგზე გადმოწევის ხარჯზე მოხდა. გარემო პირობები ასევე მიანიშნებს პოლიტიკური დაზვერვისა და ლობირების შედეგად მოპოვებულ ზეგავლენაზე.

საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებზე და სახელმწიფო მოხელეებზე ლობისტური ზეგავლენის ზრდაზე მეტყველებს სუს-ის (საქართველოს უსაფრთხოების სამსახური) 2017 წლის ანგარიში, სადაც ნათლადაა გაწერილი ის ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოზე მანიპულირებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, სოციალური და ა.შ ბერკეტებით ,რომელიც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერაა პროვოცირებული. ლობისტური საქიანობით ძირითადად გამოირჩევიან ექსპერტული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, არასამთავრობო სააგენტოები, სასწავლო ცენტრები და ა.შ

სუს-ის წარმომადგენლობითი უწყების განმარტებით უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ლობისტური მოძრაობებით ცდილობენ შექმნან ინფორმაციის მოპოვების არხები სახელმწიფო, კომერციულ, სამეცნიერო, საგანმანეთლებლო დაწესებულებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებში. [29]

თურქული ზეგავლენის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს ქართველი სახელმწიფო მაღალჩინოსან მოხელეთა დამოკიდებულება და თურქეთის მიმართ გაკეთებული განცხადებები, სადაც ისინი თურქეთს მოიხსენიებენ მოძმე ერად და ისტორიულ მეგობრად. საუბრობენ ბოლო 25 წლიან ისტორიაზე და აფიშირებენ მხოლოდ პოზიტიურ მოვლენებს, რომელიც მიღწეული იქნა ქართულ-თურქული ურთიერთობების შედეგად.

---

[28] *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) „2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალქებზე ლტოლვილის სტატუსის, მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა“. 2014* https://idfi.ge/ge/statistical-information-on-foreign-citizens-being-granted-residence-permit

[29] *Front news "საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ცდილობენ, გააძლიერონ ლობისტური ჯგუფები " 2018.* http://frontnews.eu/news/ge/27056

თურქული ზეგავლენის გაზრდა ქართულ პოლიტიკურ სექტორზე განსაკუთრებით შესამჩნევია ბოლო ორი ხელისუფლების პირობებში.

## 2.3. ეთნიკური ქართველების გავლენა თურქულ პოლიტიკაზე

პირველ თავში შევეხეთ ქართულ-თურქული ურთიერთობების ისტორიულ ეტაპებს, რომელთა დროსაც ხშირი იყო ომიანობა, ტერიტორიების დაპყრობა, ლაშქრობები და ა.შ. ეს ყველაფერი იწვევდა ადამიანური რესურსის მუდმივ მიგრირებას, მოსახლეობის გადასახლება, გატაცება, გაყიდვა, საზღვერისპირა რეგიონებში მცხოვრები ქართველების ინტეგრირება თურქულ ღირებულებებთან. ეს ყოველივე მიზანმიმართულად ხორციელდებოდა თურქეთისა თუ სხვა დამპყრობლების მხრიდან, რათა მომხდარიყო ქართველთა ასიმილიზაცია. თურქეთში ცხოვრობენ ქართული (ლაზური, აფხაზური, მესხური დ ა.შ) ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეები. მათი გადასახლება რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგია. მუსლიმანური აღმსარებლობის ქართველებმა დატოვეს თავიანთი სამშობლო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და (მესხეთი, აფხაზეთი, აჭარა და ა.შ) ოსმალეთის იმპერიაში მიგრირდენენ. (გადასახლების ამ ტალღას მოიხსენიბენ „მუჰაჯირობად“)

მიუხედავად, ამისა, რომ ვერ მოხერხდა ამ ხალხის თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნება და საქართველოსთან შემოერთება, ისინი დღემდე ინარჩუნებენ ქართველობას, ქართულ ღირებულებებს და ეწევიან ერის საქმეს თურქეთის ტერიტორიაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული დიასპორების მუშაობა. დიასპორის მუშაობა ხასიათდება, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენებით თავის წარმოშობის ქვეყანაზე. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს თანამონაწილე ტრადიციების, ისტორიის, კულტურის, ენის რელიგიისა და სხვადასხვა ღირებულებების, თუმცა ასევე შეიძლება იყოს დაპირისპირებისა და დესტაბილიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი, არაკეთილსინდისიერი გამოყენების შემთხვევაში. ამ უკანასკნელის გამოყენება გაცილებით მარტივია „ვირტუალური საზოგადოების“ და სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ გაზარდა დეზინფორმაციის ხარისხიც. შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად უნდა იგრძნობედეს დიასპორების მხარდაჭერა, რათა არ მოხდეს, საზოგადოებრივი აზრის ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება.

ამ მიმართულებით უკვე იჩინა თავი პრობლემამ, რომელიც წინა ხელისუფლებებს ფაქტობრივად უყურადღებოდ დარჩა. კერძოდ აფხაზურ

და ქართულ დიასპორებს შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობა მკვეთრადაა შეცვლილი. მკვლევრების შეფასებით ამ კონფლიქტის შემდეგ ქართულ და აფხაზურ დიასპორებს შორის ურთიერთობები გაცივდა და აღარაა ისეთი ინტენსიური, როგორც იყო ომამდე.[30]

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უნდა მოხდეს ეთნიკური ქართველების პრობლემატიკის წინ წამოწევა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სამეცნიერო ფორუმებზე, უნივერსიტეტებში, მათი თემატიკის განხილვა და პოპულარიზება. ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები და გადაცემები. საქართველოში თურქეთში მცხოვრები ქართველების თემატიკისადმი მიძღვნილი ორენოვანი (ქართულ-თურქული) ღონისძიებებსი მხარდაჭერა და ახალგაზრდობის ჩართვა. სამეცნიერო-პუბლიცისტური გამოცემის (ჟურნალის, გაზეთების, წიგნების, კრებულის) მომზადება ეთნიკური ქართველების ჩართულობით. ამ მხრივ გამოირჩეოდა საქართველოს პირველი ხელისუფლება, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა „სამუსლიმანო საქართველოსთან“.

ეთნიკური ქართველების საქმიანობა განსაკუთრებით აქტიური იყო XIX-XX საუკუნეებში, საზღვრისპირა რეგიონებში გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. მემედ აბაშიძის და მისი გარემოცვის საქმიანობამ უდიდესი როლი ითამაშა აჭარის შენარჩუნებაში. ჟურნალი „სამუსლიმანო საქართველო“ იყო ქართველი ერისთვის დანატოვარი უდიდესი პროდუქტი. მან შექმნა იდეოლოგიური საყრდენი, რათა გამუსლიმანებულ, ქართველებს შეენარჩუნებინათ და არ დაეკარგათ ქართველობა. ასეთივე მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო ჟურნალი „ჩვენებური“ ქართული კულტურის შესახებ. იგი შვედეთში და თურქეთში თურქულ ენაზე იბეჭდებოდა. პირველი ნომერი ქალაქ სტოკჰოლმში 1977 წელს გამოიცა შანვერ აქინი (შალვა თევზაძე) რედაქტორობით. ეს გამოცემა სტოკჰოლმიდან იგზავნებოდა თურქეთში. ხოლო ჟურნალის მე-6-7 ნომერი დაიბეჭდა თურქეთში, რედაქტორი კი აჰმედ ოზქანი (მელაშვილი) იყო, რომლის გარდაცვალების შემდეგ ჟურნალი „ჩვენებური“ დაიხურა. მოგვიანებით 1993 წელს აღდგა დროებით მისი გამოცემა 2006 წლამდე.

დღეს ქართული საზოგადოებები ორგანიზაციები შექმნილია თურქეთის ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. თურქეთში

[30] *მჭედლიშვილი ზ. „საქართველოს და თურქეტის ახალი გეოპოლიტიკური რეალობა „ 2013*
https://www.youtube.com/watch?v=TYiLuW_a4os&t=4s

მცხოვრები ქართული დიასპორის მოქმედების არეალია მარმარილოს ზღვის რეგიონი, შავიზღვისპირის რეგიონი და სტამბოლი. ამ საზოგადოებების მუშაობა ხელს უწყობს ქართული ენის შესწავლას, თურქეთის ქართული სოფლების საშუალო სკოლებში ქართული ენის, როგორც შერჩევითი საგნის ამოქმედებას. ისინი მართვენ კულტურულ-საქველმოქმედო ღონისძიებებს. საზოგადოების ეს ნაწილი აყალიბებს ახალ მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ქართული გვარების დაბრუნება იქნება შესაძლებელი. მსგავსი ტიპის ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულნი ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა :

- „განათლებისა და კულტურის ფონდი“: ( Türk Gürcü Eğitim ve Kültür Vakfi),
- „საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება“ ( Gürcistan Dostluk Derneği),
- „ქართული კულტურის ცენტრი“ (Gürcü Kültür Merkezi),
- „ქართული კულტურის სახლი“ (Gürcü Kültür Evi),
- „დუზჯეს ქართული კულტურის საზოგადოება“ (Düzce Gürcü Kültür Derneği),
- „ინეგოლის კავკასიური ფოლკლორის საზოგადოება“ (İnegöl Kafkas Folklor Derneği) და ა.შ [31]

საინტერესოა ასევე წარმოშობით ქართველების როლი, თურქეთის ხელისუფლებაში, მაგალითად მეჯლისში* ათეულობით ქართული წარმოშობის პოლიტიკოსი საქმიანობს. მათ საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკაზე, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დიასპორებისგან განსხვავებით პარლამენტარების მოღვაწეობა საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ არც პირდაპირ და არც ირიბად არ ფიქსირდება.

შესაბამისად, შეგვიძლია იმის თქმა, რომ წარმოშობით ქართველების მუშაობა დიასპორების დონეზე კულტურულ და საგანმანათლებლო სივრცეებშია აქტიური. სამწუხაროდ, დიასპორის ეს მიმართულებები არ ქმნიან არანაირ „პოლიტიკურ ამინდს“ თურქულ რეალობაში. იგივეს ვერ ვიტყვით იმ პოლიიტიკოსებზე და ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე, რომლებიც მოღვაწეობენ თურქეთში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ადამიანები მრავლადაა და საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის პოლიტიკაზე არ შეიძლება მათი, როგორც საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ მოქმედი ინდივიდების განხილვა. წარმოშობით ქართული საზოგადოების ეს ფენა იშვიათადაა ჩართული ქართულ კულტურულ ღონისძიებებში და დიასპორებთანაც ნაკლებად თანამშრომლობს.

[31] *წურწუმია ზ. „თურქეთელი ქართველები, ლაზები და აფხაზები დღეს“ 2016*

* *მეჯლისი-თურქეთის პარლამენტი*

# III თავი

## რბილი ძალის გამოვლინება თანამედროვე ქართულ-თურქულ ურთიერთობებში

ნაშრომის მესამე თავი მთლიანად დათმობილი აქვს ქართულ-თურქულ ურთიერთობებში რბილი ძალის ელემენტების გამოვლენას. შევეხებით პოლიტიკურ - ეკონომიკურ სექტორს და ამ მიმართულებით ბაზარზე თურქული კომპანიების დომინანტობას. განვიხილავთ საგანმანათლებლო და კულტურულ სივრცეებს, როგორც რბილი ძალის პოლიტიკის გამტარებელ მიმართულებებს. გარდა ამისა გაანალიზებულია საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის საკითხი. დემოგრაფიული პრობლემები, როგორც რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთი ხელშემწყოფი ფაქტორი.

### 3.1. რბილი ძალის ნიშნები, საქართველოსა და თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში

ბოლო 5-6 წლის მანძილზე თურქეთი საქართველო-თურქეთს შორის მეტად დათბა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. ეს აისახება საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, განსაკუთრებით კი საგარეო ვაჭრობაზე. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2012 წლის პირველ ნახევარში თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა. ამ ქვეყნიდან საქართველოში ძირითადად სამშენებლო მასალების იმპორტი ხორციელდება, შემდეგ მოდის ქაღალდის ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა პროდუქცია. საქსტატის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფქვილი და ხორცი, თევზი, ელექტროენერგია და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან. ხოლო, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები, სამკურნალო

საშუალებები, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან, იზოლირებული კაბელები და მავთულები, სანიტარულ-ჰიგიენური ნაწარმი და სხვა.[32] დღეს თურქეთი საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორია, რომელმაც ჩაანაცვლა რუსეთი. ყოველდღიურად მილიონობით დოლარის ღირებულების პროდუქტის იმპორტირება და ექსპორტირება ხდება, რომელსაც დადებითი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება 2004 წელს 100 მილიონი აშშ დოლარს ასცდა, 2008 წელს კი 200 მილიონს გადააჭარბა. 2014 წელს საქართველოს თურქეთში ექსპორტი 239 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ამით თურქეთმა საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობით აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა.




*საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ქართული ექსპორტის დანიშნულების ქვეყნები 2014. წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური Geostat*

[32] *Grass fact chack "თურქეთ-საქართველოს სავაჭრო პარტნიორობა" 2017*
https://factcheck.ge/ka/story/28896-thurqethi-saqarthvelos-erth-erthi-umskhvilesi-savatchro-partnioria-da-es-urthierthobebi-kidev-uphro-ghrmavdeba




*საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ქართული ექსპორტის დანიშნულების ქვეყნები 2005-2014, 1000 აშშ დოლარში. წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური Geostat*

თუმცა განსხვავებული სიტუაციაა საქართველო-თურქეთს შორის იმპორტის კუთხით. აშკარაა ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულება თურქეთზე, იმპორტის მხრივ. 2014 წელს საქართველომ თურქეთიდან 1,727 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტირება მოახდა, რუსეთიდან კი - მხოლოდ 575 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების. ეს გარემოება კი კიდევერთხელ ცხადყოფს რომ თურქეთი არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი, მაგრამ იმპორტის ასეთი მაღალ ნიშნულს თუ კი გავითვალისწინებთ, ნათელია, რომ თურქულმა პროდუქციამ ქართული ბაზარი დაიპყრო, რაც გარკვეულ პოტენციურ საფრთხეებთანაა დაკავშირებული.




*საქართველოს საგარეო ვაჭრობა: იმპორტიორი ქვეყნები 2014. წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური Geostat*

თურქული კომპანიების დომინანტობა საქართველოში, უპირატესად, ცენტრალური ინფრასტრუქტურის პროექტებს და უძრავი ქონების ბაზარს შეეხო. მაგალითად, Anadolu-ჯგუფმა 2014 წელს დასრულებულა ფარავნის ჰიდროელექტროსადგური მშენებლობა. მისი მთლიანი მოცულობა 85 მგეგავატია და მის 90 პროცენტიან წილს აღნიშნული კომპანია ფლობს. მსგავსი ელექტროსადგური ხედულაში, ქვემო-სვანეთშიც უნდა აშენდეს. Ahlatci-ჯგუფმა სამეგრელო-ზემო სვანეთში დოლრას ელექტროსადგური უნდა ააშენოს. Calik-ჰოლდინგმა კი მდინარე რიონზე სადმელისა და ალპანას კაშხლები, სადაც დომინანტობას რათქამუნდა თავად შეინარჩუნებს. ნათელია, რომ ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველო არცთუ ისე შორეულ მომავალში ელექტროენერგიის გამომუშავების ადგილად ქცევას, რისი ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს საქართველოს უხვი წყლის რესურსის, რომლის არამიზნობრივი გამოყენება დამაზიანებელია სახლემწიფოს ეკოლოგიური და ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

ამას გარდა, თურქული კომპანია TAV Havalimanlari Holding-ი პასუხისმგებელია თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ინფრასტრუქტურაზე და მათზე კონტროლს აწესებს. ბათუმის აეროპორტის აფრენისა და დაფრენის ბილიკები, როგორც ექსტრა ტრასები, თურქეთის შიდა ფრენებისთვისაც კი გამოიყენება.

თურქული ფირმები უპირატესად ვაჭრობის, სამშენებლო-უძრავი ქონების სექტორისა და სამკერვალო ინდუსტრიის სფეროში გვხვდება, თუმცა თურქული მათი დომინანტობა მცირე და საშუალო წარმოებაზეც ვრცელდება. თურქული მსხვილი ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინებით მოხდა ქართული ბაზრის დაპყრობა ეს პრობლემა განსაკუთრებით შეეხო ბათუმს, რადგან მსხვილი ინსვესტიციების 80-85 პროცენტი ბათუმში, არის თურქული წარმომავლობის. ეს ყოველივე მიანიშნებს ერთ მხრივ ჯანსაღი კონკურნციის არ არსებობაზე, რაც შეიძლება აიხსნას სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ და უცხოურ კომპანიებზე არათანაბარი მიდგომით, კერძოდ ადგილობრივი ბიზნესმენთა განცხადებით სახელმწიფო პრივილეგიას ანიჭებს თურქულ კომპანიებს. მაგალითად პოლიტიკოს მურმან დუმბაძის განცხადებით სახელმწიფო უცხოურ ინვესტიციებს მეტად უწყობს ხელს და მათ გარკვეულ პრივილეგიებსაც კი ანიჭებს, ეს ყოველივე აქვეითებს კონკურენციის ხარისხს, რაც იწვევს ეროვნული კომპანიების გასვლას ადგილობრივი ბაზრიდან. ამ მიმართულებით აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელის თამაზ შავაძე თქმით თურქულ კომპანიებს არანაირი პრივილეგიები არ გააჩნიათ, კონკურენციის დაბალი ხარისხი გამომდინარეობს იქიდან, რომ ეროვნული მწარმოებლები ვერ იყენებენ კერძო ბიზნესისთვის შექმნილ პირობებს.

*"არა მგონია, თურქებს რაიმე სპეციალური პირობები აქვთ. უბრალოდ, ამ პირობებს ქართველები ვერ იყენებენ და ვერ გრძნობენ, რამდენად გამარტივდა ცხოვრება ბიზნესისთვის. შესაძლებელია გამოცდილება არ არსებობს ასეთი. ქართველები ამას უფრო ნელა აღიქვამენ, ვიდრე უცხოელები."*[33]

პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ, რომ რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთ სამიზნედ ითვლება, ეროვნულ ბაზარზე ზეგავლენის მოხდენა, შეღწევა და დამონანტობის შენარჩუნება, მისი უპირველესი მიზანია ბაზრის დაპყრობა. შესაბამისად საქართველოში თურქული კომპანიების ასეთი რაოდენობით შემოდინება შეიძლება განპირობებული იყოს თურქული მხარის ზემოქმედებით, რაც აიხსნება ქართველ მაღალჩინოსნებისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ზეგავლენის მოხდენით. ამ იდეას ისიც ამყარებს, რომ თურქული კომპანიები განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან ენერგეტიკული პოტენციალითა და ბაზრით.

[33] *მჭედლიძე კ.- რადიო თავისუფლება, „თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობა" 2012* https://www.radiotavisupleba.ge/a/georgia-turkey-trade-economics-cooperation/24681244.html

თურქული კომპანიების ინტერესი, ენერგეტიკის სფეროში ძალიან დიდია. ბოლო მსხვილი ინვესტიციის ჩადება იგეგმება ორი უმსხვილესი თურქული კომპანია "ჩალიკ ჰოლდინგი" და GE Power-ის მიერ. ინვესტიცია მიზნად ისახავს კომბინირებული ციკლის ახალი თბოელექტროსადგურის, ქარის ჰიდროელექტროსადგურებისა და გაზსაცავის მშენებლობას. გარდა ამისა უნდა ავღნიშნოთ, რომ "ჩალიკ ჰოლდინგის" ინტერესის სფეროშია ტექსტილის წარმოების განვითარებაც. სახელმწიფოსთან უმაღლეს დონზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტექსტილის საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით, რაც სავარაუდოდ, გურიის რეგიონში განხორციელდება. თუკი გავითვალისწინებთ თურქეთის ენერგეტიკულ რესურსებს, რთული მისახვედრი არაა, რომ ენერგეტიკულ ბაზარზე მსგავსი მსხვილი ინვესტიციების გაკეთება, პირდაპირაა დაკავშირებული თურქეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან. შესაბამისად ენერგეტიკული ბაზრის დაპყრობა და იქ დომინანტობის შენარჩუნება შედის თურქეთის ეროვნულ ინტერესებში. თურქეთის მსგავსი მიდგომა დამახასიათებელია არამხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობაში, არამედ იგივეს თქმა შეიძლება აზერბაიჯანთან, რუსეთთთან და აზიის ენერგო რეესურსებით მდიდარ სახელმწიფოებთან მიმართებით. ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ თურქეთი მაქსიმალურად ცდლობ ენერგეტიკული ბაზრის დივერსიფიკაციას და ევროპასთან დამაკავშირებელი „ხიდის“ ფუნქციის განვითარებას, რაც მას აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების მსხვილ ფიგურად. შესაბამისად ეს ქვეყანა გლობალური მოთამაშის და დომინანტის სტატუსის შენარჩუნებას ნებიმიერი საშუალებით ცდილობს. ამ საშუალებებს შორის ყველაზე პოპულარულია რბილი ძალის პოლიტიკა. აქედან გამომდინარე ნებისმიერი ინვესტირება ენერგეტიკულ სივრცეში პირველ რიგში თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების განვითარებას უწყობს ხელს.[34]

თურქული რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ მისი ურთიერთობები დე ფაქტო აფხაზეთთან. მართალია თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს კავშირს აფხაზეთთან. ეს გარემოება ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ თურქეთი ნებისმერი საშუალებით ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას და რეგიონზე ზეგავლენის, არეალის გაფართოებას. თურქეთი არასამთავრობო დონეზე მჭიდროდ თანამშრომლობს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეზე.

[34] *Buissnes press new (BPN) "თურქული კომპანიები საქართველოში მსხვილ საინვესტიციო პროექტებს განხორციელებას გეგმავენ", 2016* https://www.bpn.ge/article/21761-turkuli-kompaniebi-sakartveloshi-msxvili-sainvesticio-proektebis-ganxorcielebas-gegmaven/

ეთნიკურად აფხაზური ჯგუფს მჭიდრო კავშირი აქვს თურქეთთან, რაც გამოწვეულია 1578 წელს ოსმლეთის იმპერიაში მათი გადასახლებით, ამ გარემოებამ ძლიერი კულტურული და რელიგიური გავლენა იქონია მათზე. დღეს თურქეთში იმაზე მეტი წარმოშობით ეთნიკურად აფხაზი ცხოვრობს ვიდრე თავად აფხაზეთში. შესაბამისად ქართულ-აფხაზური კონფილიქტის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა და გახშირდა აფხაზური დიასპორის საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი - ისევე როგორც გაეროს 188 წევრი ქვეყანა არ აღიარებს აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამიტომ, ანკარასა და სოხუმს შორის ოფიციალური ურთიერთობა არ არსებობს. თუმცა, თურქეთის აფხაზური დიასპორის მოძრაობები, თურქეთის მთავრობისთვის ლობისტური ორგანიზაციების როლს ასრულებენ. შესაბამისად შესაძლებელია მათი მრავალმხრივი გამოყენება, მაგალითად თურქეთის სამთავრობო წრეებისკენ არაფორმალურ, საკომუნიკაციო, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ მიმართულებებით.

აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციის მიუხედავად, თურქეთის ურთიერთობა აფხაზეთთან დიასპორის საშუალებით არაზდროს შეწყვეტილა. 90-იან წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იგრძნობოდა მოსკოვსა და ანკარას შორის აფხაზეთთან დაკავშირებით თუმცა მალევე მოგვარდა.

2008 წელს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, განსაკუთრებით გაიზარდა თურქეთში რეგისტირებული კომპანიების მოღვაწეობა და სავაჭრო პარტნიორობა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისფულებასთან, რისი ნათელი მგალითიცაა 2013 წელს „აფხაზეთ-თურქეთის ბიზნეს საბჭოს“ დაარსების. აფხაზეთიდან ძირითადად ქვანახშირის, ხე-ტყისა და ჯართის ექსპორტირება ხორციელდება, ხოლო თურქეთიდან სურსათის, სამშენებლო მასალების, საწვავისა, საზეთ-საპოხი საშუალებების, ასევე ტანსაცმლისა და ტექსტილის პროდუქტების იმპორტირება ხდება აფხაზეთში. ამ სავაჭრო ურთიერთობების ბრუნვა 80 მილიონი დოლარიდან 600 მილიონამდე მერყეობს წელწადში. მართალია, ოფიციალურად ანკარას აფხაზეთთან ვაჭრობა არალეგალურად მიაჩნია, მაგრამ ამ ვაჭრობას კატეგორიულად არ კრძალავს.[35]

---

[35] *თოფურიძე ნ. „ თურქეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“ 2015*

http://regional-dialogue.com/role-of-turkey/

საერთაშორისო ფორმატით, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საუბარი, თურქეთისთვის საკმაოდ დელიკატური საკითხია. განსაკუთრებით მაშინ როდესაც საუბარია თურქი პარლამენტარებისა და ადგილობრივი პოლიტიკოსების კავშირებზე აფხაზეთთან. ბოლო წლებში ურთიერთკავშირი იმდენად გაიზარდა, რომ 2014 წლის ზაფხულში, თურქულმა სახელმწიფო დაწესებულებებმა აფხაზურ დიასპორას, (წესის საწინააღმდეგოდ), უფლება მისცა, სტამბოლში საარჩევნო პუნქტი მოეწყო, სადაც დიასპორის წევრებისთვის აფხაზეთის „პრეზიდენტობის არჩევნებში" საკუთარი აზრის დაფიქსირება იქნებოდა შესაძლებელი. ასევე 2011 წლიდან თურქეთსა და რუსეთს შორის უვიზო მიმოსვლამ აფხაზეთიდან და აფხაზეთში მოგზაურთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია იმის თქმა, რომ თრუქული რბილი ძალის პოლიტიკა, საქართველო-თურქეთს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში თვალნათლივ ვლინდება. თურქული რბილი ძალა, საქართველოსთან მიმართებით, აფხაზეთის მაგალითზე თვალსაჩინოა შემდეგ ასპექტებში:

1. *თურქეთი ხელს უწყობს აფხაზეთის ეკონომიკურ გაძლიერებას*
2. *თურქეთი აბალანსებს რუსეთის გავლენას აფხაზეთზე*
3. *იმკვიდრებს თავს, როგორც რუსეთის ალტერნატიული ვარიანტი.*
4. *ინარჩუნებს არ აღიარების პოლიტიკას აფხაზეთთან მიმართებაში.*
5. *ინარჩუნებს სამაგალითო მეგობრისა და მთავარი სავაჭრო პარტნიორის სტატუსს საქართველოსთან*
6. *წარმატებულად აძლიერებს გავლენას რეგიონზე და ა.შ.*

## 3.2. საგანმანათლებლო და კულტურული სივრცე, როგორც რბილი ძალის გამოყენების მძლავრი მექანიზმი

რბილი ძალის პოლიტიკის გატარებაში საგანმანათლებლო სივრცეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან პირველ რიგში იგი ხელმისაწვდომია ახალი თაობისთვის, სწორედ ამ მიმართულებაში იქმნება და ყალიბდება ადამიანი პიროვნებად, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის შექმნაში საკუთარი წვლილი შეაქვს. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მაღალგანვითარებული სახელმწიფოები საკუთარ განათლების სისტემას, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს უზიარებენ სხვადასხვა ღირებულებებს, უღვივებს სიმპათიებს და პოზიტიურად განაწყობენ მათ, ხოლო ეს გარემოება ქმნის ზემოქმედების ბერკეტს.

შემთხვევითი არაა, რომ ეროვნული ქართული მოძრაობები („წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „სამუსლიმანო საქართველო, „ჩვენებურები“ და ა.შ.) უპირველეს ყოვლისა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებებით კვებავდნენ ქართულ საზოგადოებას. ეს ყოველივე კი აიხსნება იმით, რომ განათლებული ადამიანის „მართვა“ და მისი გამოყენება ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ძალზედ რთულია.

დღევანდელი მდგომარეობით, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მიმართულებების აქტივობა აჭრაში. აქ საშუალო და ზოგადი განათლების დონე ყველაზე დაბალია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. აჭარის მოსახლეობის (15-29 წლამდე ახალგაზრდობა) 31-35 % ფლობს მხოლოდ საშუალო განათლებას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საზღვრისპირა სოფლებში და მაღალმთიან აჭარაში. რიგ შემთხვევებში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უჭირს ქართულად საუბარი ხოლო ზოგიერთ სოფელში არ მეტყველებენ ქართულად. იქ სადაც დაბალია ქართული ღირებულებები, მაღალია თურქული ზეგავლენა. ამ მიმართულებას ისიც ადასტურებს რომ 2016-2017 წლებამდე საქართველოში საკმაოდ ბევრი პრესტიჟული თურქული სასწალებელი ფუნქციონირებდა და დღემდე ფუნქციონირებს მაგალითად: შზსუ (IBSU, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) სკოლა-ლიცეუმი “სხივი”, დემირელის კოლეჯი, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი ქუთაისში, შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი რუსთავში, დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა მარნეულში და ა.შ. სასწავლო დაწესებულებათა ეს მცირე ჩამონათვალი, აქტირურად ეწეოდა და ეწევა თურქული ენის, კულტურის, ტრადიციებისა და სხვა ღირებულებები პოპულარიზებას. თუმცა მათი უმეტესობა თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ დახურეს. ეს ფაქტი, თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლობის განცხადებით, დაკავშირებულია ფეთქულა გიულენთან. (ასევე მუსტაფა ემრე ჩაბუქთან) რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ერთ შემთხვევაში თურქული სასწავლებლები ახდენენ თურქული ღირებულებების პოპულარიზებას საქართველოში, მეორე შემთხვევაში კი ოფიციალური ანკარა მოითხოვს ამ დაწესებულებების დახურვას. მოვლენების ასეთი განვითარება გამოწვეული იყო, თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში აზრთა სხვადასხვაობით. ოფიციალური თურქეთის ზეწოლა და ზეგავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ თურქული მხარის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, სახელმწიფომ დახურა ეს სასწავლებლები, თუმცა ეს

ფაქტი არ აბათილებს თურქული რბილი ძალის გავლენას საქართველოზე.[36]

მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები აფხაზეთის რეგიონშიც. იქ რამოდენიმე თურქული წარმოშობის კოლეჯი ფუნქციონირებდა ქართულ-აფხაზური კონფილიქტის შემდეგ, თუმცა ფეხისმოკიდების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. რეგიონზე რუსული ძალის გავლენა იმდენად მძლავრია, რომ ამ უკნაკნელმა ვერ შეძლო თავის დამკვიდრება. გარდა ამისა აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ დღესდღეობით საქართველოში ათეულობით სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც შესაძლებელია თურქული ენისა და კულტურის, ასევე ისტორიის შესწავლა. მათ უმეტესობაში სწავლა უფასოა ან/და დაბალ ფასადაა შესაძლებელი. ფინანსური ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი ფაქტორი მიზიდვასა და პოპულარიზებისათვის.

საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, საინტერესო აქტივობა შეინიშნება თურქეთის მხრიდან ჯანდაცვის სფეროში. საქართველოში კერძოდ თბილისში გაიხსნა "აჯიბადემის" სამე-დიცინო ქსელის წარმომადგნელობითი ოფისი, იგი ქართველ პაციენტებს, თურქეთში, მკურნალობის მიღების გამარტივებულ შესაძლებლობას სთავა-ზობს. ნებისმიერ პაციენტს შეუძლია მიმართოს ქართულ ოფისს. იგი საბუთების თარგმნაში, თურქეთის კლინიკებში გაგზავნაში, ტრანსპორ-ტირებასა და მკურნალობასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ საქმეში სრუ-ლიად უფასო დაეხმარებას მიიღებს. გარდა ამისა აქ შესაძლებელია ისეთი სამედიცინო მომსახურების მიღება, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის საქართველოში. ასევე „აჯიბადემის" სამედიცინო ქსელი არის გლობალური პლატფორმა, სადაც სამედიცინო პერსონალს საშუალება ექნება განათლება მიიღოს თურქეთში, რომელსაც გამოცდილებას გაუზირებენ თურქი პროფესორები. თუკი გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, ეჭვგარეშეა, რომ მსგავსი ტიპის სამედიცინო სერვისის შეთავაზება მოსახლეობაში ზრდის მიმზიდველობისა და სიმპათიის ხარისხს, რაც

[36] *Jam news, ვარდიაშვილი მ. „თურქული სკოლები საქართველოში-პოლიტიკური ზეწოლის მსხვერპლი“*
https://jam-news.net/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94/?lang=ka

აუცილებლად აისახება საქართველოსა და თურქეთის მიმართ საზოგადოებრივ განწყობაზე.[37]

*„25 წლის წინ თურქებსაც საზღვარგარეთ უწევდათ სამკურნალოდ წასვლა. ახლა ეს ტენ-დენცია შეიცვალა და პირიქით, საზღვარგარეთიდან თურქეთში ჩამოდიან სამკურნალოდ. იმედი მაქვს, მალე საქართველოშიც შეიცვლება სიტუაცია და ქართველებს საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა აღარ მოუწევთ.“* *მურატ ეკმეზოღლუ.ინვესტიციებისა და ბიზნესის განვითარების დი-რექტორი დსთ-ის რეგიონში.*

*„ვიმედოვნებ, რომ ქართველ სტუდენტებს დიპლომის მიღების შემდგომი კურსების აჯიბა-დემის უნივერსიტეტში გავლის საშუალებაც მიეცემათ“* *ნინა ლობჟანიძე, "აჯიბადემის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში.*

შეგვიძლია იმის თქმა, რომ საგანმანათლებლო სივრცე მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას საზოგადოებრივი აზრის შემნაში, განსაკუთრებით კი ახალი თაობის ცნობიერებისა და აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ეს გარემოება კი ქმნის რბილი ძალის პოლიტიკის გატარებისთვის მოწყვლად მიმართულებას. საგანმანათლებლო სივრცესთან ერთად კულტურული სივრცეც, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რბილი ძალის პოლიტიკაში.

ზემოთ შევეხეთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული სივრცე, რბილი ძალის გამოყენებისთვის. ამ მიმართულებებით ხდება სხვადასხვა ღირებულებები წინა ფლანგზე წამოწევა და მათი პოპულარიზება რაც პირდაპირაა დაკავშირებული ზეგავლენის ზრდასთან. თუკი დღევანდელ ქართულ-თურქულ ურთიერთობებს დავაკვირდებით, მრავალად შევხვდებით თურქულ ტრადიციულ და კულტურულ ღონისძიებებს საქართველოში, (კულტურულ-ისტორიული ფესტივალები, ლიტერატურული გამოფენები, ტრადიციული ღონისძიებები, დღესასწაულები, კულინარია, და ა.შ) რომელთა პოპულარიზება მაღალ ხარისხზეა აყვანილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა თურქული სერიალებისა და ფილმების პოპულარობის ხარისხი. ათეულობით თურქული სერიალის პოპულარიზება ხდება ქართულ არხებზე, რომლის რეალურ მიზნად შეგვიძლია ჩავთვალოთ თურქული ღირებულებების გაზიარებია. ეს ფილმები არის თურქული ეროვნების მაიდენტიფიცირებელი ნიშნების წყარო, რომელთა ყურების შემდეგ რთულია მოხიბლული არ დარჩე თურქული ისტორიით, კულტურითა თუ ტრადიციებით. განსაკუთრებით ნიშანგასაწევია ეს ფაქტორი კიბერ, სივრცული ეპოქის პირობებში, როდესაც ფილმებმა შეიძლება უფრო

[37] *ამბები.Ge "ქართველი პაციენტებისთვის თურქეთის კლინიკაში მკურნალობა მარტივდება“ 2017* https://www.ambebi.ge/article/199365-kartveli-pacientebistvis-turketis-klinikebshi-mkurnaloba-martivdeba/

ეფექტურად მოახდისნოს ზეგავლენა მაყურებელზე ვიდრე, რომელიმე პოლიტიკოსმა ან ორატორმა. ასეთ დროს მაღალია პრპაგანდის ხარისხიც, რომელიც შეიძლება მიზანმიმართულად ხორციელდებოდეს საზოგადოების აზრის შესაქმენლად, მოხიბვლა, სიმპათიის ზრდა, პოზიტიური დამოიკდებულება, ზემოქმედების საწყის გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოს. იგი ისევე წარმატებულად მუშაობს როგორც კულტურის სხვა კომპონენტები, მათშორის რელიგიური მიმართულება.

რელიგიური კომპონენტი, კულტურული სივრცის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მას უდიდესი გავლენა აქვს ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე. დასავლეთ საქართველოში რელიგური სიჭრელე განსაკუთრებით შესამჩნევია აჭარისა და გურიის ტერიტორიაზე. მაგალითად აჭარის მოსახლეობის საერთო რაოდნეობის თითქმის 40-45% მუსლიმანია (აჭარაში დახლოებით 132 852, ბათუმში 38 762, ხოლო გურიაში 12 951 დამიანი) ეს გარემოება საგრძნობლად ზრდის პოტენციური ზეგავნელის საზღვრებს. თუკი გავითვალისწინებთ თურქეთის გავლენა ზრდას, ასევე რეგიონში და მთლიანად საქართველოში არსებული ტოტალური უმუშევრობის ფონს, გასაკვირი არაა, რომ აჭარელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სამსახურის საშოვნელად და განათლების მისაღებად თურქეთში მიდის. ბათუმის მუსლიმი მოსახლეობა წლიდან წლამდე იზრდება, პირველ რიგში, იმ ხალხის ხარჯზე, რომლებიც მთიანი აჭარიდან ჩამოსახლდნენ (სადაც უმეტესწილად ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ). დღევანდელი მეგობრული კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოში ბევრი ეჭვის თვალით უყურებს თურქეთის მზარდ გავლენას რეგიონზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თვალსაჩინო გახდა პრო თურქული განწყობის შექმნა აჭარაში, რომელმაც პირველ რიგში ფეხი მოიკიდა რელიგურ კომპონეტში. დღეს ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რაც რელიგიური სიჭრელის ფონზე გარკვეულ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს უსაფრთხოებისთვის.[38]

ამ პოტენციურ გამოწვევებზე და საფრთხეებზე მიანიშნებს, ბათუმში რელიგიურ ნიადაგზე ჩატარებული აქციები, რომლის დროსაც მოხდა მუსლიმანური თემის კონცენტრირება, გზების გადაკეთვა, ადგილობრივი მოსახლეობის დაპირისპირება და ა.შ. მეჩეთის მშენებლობის მოთხოვნით გამოსული მხარის განცხადებით მშენებლობა ძირითადად ეყრდნობა ქველმოქმედებას, თუმცა მოწინააღმდეგეთა განცხადებით, მსხვილი

[38] *ბათუმელები, ანთაძე ჯ. „ აჭარის მუსულიმანური მოსახლეობის რაოდენობა“ 2017* http://batumelebi.netgazeti.ge/news/81661/

თანხების წარმომავლობა დაკავშირებულია თურქულ კომპანიებთან ან თურქ ბიზნესმენებთან და  როგორც, თურქულ ასევე ქართულ პოლიკიკურად გავლენიან  ელიტასთან. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ქველმოქმედების საფარქვეშ ხორციელდება ფინანსური არხის გაჭრა, რომლის საშუალებითაც იზრდება თურქული ზეგავლენა. მაგალითად 2013 წელს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა და ასევე ქვეყნის ყველაზე მდიდარმა ადამინმა პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ მეჩეთის მშენებლობის საკითხს და თავად დააფინანსებდნენ მას[39].

საზოგადოების ეს თემი  მნიშვნელოვან, როლს თამაშობს თურქეთთან რელიგიურ ურთერთობაში და აჭარის დემოგრაფიულ  მდგომარებობის შექმნაში, ხოლო მათზე თურქული ზეგავლენის ზრდა პირდაპირ მიანიშნებს, თურქული ინტერესების სასარგებლოდ მათ გამოყენებაზე.

## 3.3. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება თურქული რბილი ძალის პოლიტიკაში

ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა ყოველთვის ასეოცირდებოდა ხალხის ძალასთან, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში კონტროლის ეფექტურ საშუალებადაა აღიარებული. იგი ძალაუფლების ისეთ ფორმებს უტოლდება როგორიცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური, მემკვიდრებითი და ა.შ. დემოგრაფიულად რაც უფრო მაღალი რაოდენობის ინტერესის გამტარებელი ჯგუფი მოქმედებს დაზიანებას დაქვემდებარებულ ქვეყანაში, მით რთულია რბილი ძალის დაბალანსება. დმოგრაფიული ფაქტორი განსაკუთრებით საყურადღებოა პატარა ერებში სადაც ეთნიკური სიჭრელეა დამახასიათებელი, რადგან ეს გარემოება ქმნის ხელშემწყობ ფაქტორს რბილი

[39] *Jam news "ბათუმელი მუსლიმების ბრძოლა მეჩეთისთვის" 2017* https://jam-news.net/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D/?lang=ka

ძალის პოლიტიკისთვის. ასეთ ქვეყნებში შედარებით მარტივია ზეგავლენის მოპოვება და ეთნიკური ან/და რელიგიური უმცირესობების კერძო ინტერესების გამტარებელ ჯგუფად ფორმირება, განსაკუთრბით მაშინ, როდესაც მოსახლეობის მიგრაციას არ აქვს შემაკავებელი ბარიერები. ჭარბი მიგრაცია უარყოფითად აისახება დემოგრაფიულ სტაბილურობაზე, რითაც მცირდება საზოგადოებრის კეთილდღეობის ხარისხი.[40]

ერის დემოგრაფიული ხანდაზმულობა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, რომელსაც სავალალო შედეგი აქვს მომავალი თაობისთვის. ხანდაზმულ მოსახლეობაზე დომინანტობის იმიჯის მორგება და მისი შენარჩუნება საკამოდ რთული ფენომენია. ამის დასტურია ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ პრობლემბის დასაძლევად, მათი უმეტესობა დღითიდღე კარგავს დომინანტობის სტატუსს. დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით საქართველოში მდგომარეობა საგანგაშოა, ქართველი ერი განაგრძობს დაბერებას, ნაყოფიერების დონის დაქვეითება დამაზიანებელია ქვეყნის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოებისთვის. მოსახლეობის ბუნებრივი მატებით საქართველო ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებს 5-6 ჯერ, განვითარებად რეგიონებს 7 ჯერ, ხოლო ეკონომიკურად ძალიან სუსტ ქვეყნებს 12 ჯერ. ექსპრეტები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 30%-ით შემცირებას თუკი მსგავსი ტემპით გაგრძელდა შობადობა და სიკვდილიანობა. სამაგიეროდ ნავარაუდებია აზერბაიჯანის 25 - 30 %-ით ხოლო სომხეთის 5-7%-ით მოსახლეობის ზრდა. განსაკუთრებით დამძიმდა დემოგრაფიული მდგომარეობა ბოლო რამოდნეიმე წლის განამავლობაში მაგალითად 2017 წლის პირველ 6 თვეში 25 543 ბავშვი დაიბადა, ხოლო 25 954 ადამიანი გარდაიცვალა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დედაქალაქში (9 435 ბავშვი), იმერეთსა (3 352 ბავშვი) და აჭარაში (2 714 ბავშვი) ფიქსირდება. თუკი გავითვალისწინებთ სტატისტიკურ მონაცემებს მარტივი მისახვედრია, რომ საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც ეტაპობრივად მოედება სახელმწიფოს სხვადასხვა მიმართულებებს და ადრე თუ გვიან დააზიანებს მოსახლეობის კეთილდღეობას.[41]

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|

[40] *British counsil "soft power today" 2019. გვ 19-23*

[41] *ლიბერალი „დემოგრაფიული კრიზისი - გამოწვევა ეროვნული უსაფრთხოებისთვის" 2018* http://liberali.ge/articles/view/22072/salome.ge

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, ათასი კაცი | 3 718 | 3 716.9 | 3 721.9 | 3 728.6 | 3 726.4 | 3 729.6 |
| ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, კაცი | 49 65 | 60 635 | 59 249 | 56 569 | 53 293 | 51 138 |
| გარდაცვლილთა რიცხოვნობა, კაცი | 48 56 | 49 087 | 49 121 | 50 771 | 47 822 | 46 524 |
| ქორწინებათა რაოდენობა, ერთეული | 34 69 | 31 526 | 29 157 | 25 101 | 23 684 | 23 202 |
| განქორწინებათა რაოდენობა, ერთეული | 8 089 | 9 119 | 9 112 | 9 539 | 10 222 | 10 288 |
| იმიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი | 92 45 | 82 161 | 92 557 | 90 228 | 83 239 | 88 152 |
| ემიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი | 95 06 | 88 704 | 95 965 | 98 288 | 85 451 | 98 935 |

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის გამოირჩევა ეთნიკური სიჭრელით, საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობებია დასახლებული. აჭარის რეგიონი შობადობის ზრდით მესამე ადგილიზეა და ამ რეგიონში 40-45% მოსახლეობის რელიგირუი მრწამსის მიხედვით მუსლიმანია. მაგრამ ეს გარემობა არაზდროს წარმოადგენდა აჭარელ მუსლიმანურ და მართმადიდებელ თემს შორის განხეთქილების საგანს, პრიქით 1918-1921 წლებში მუსლიმანური თემი „სამუსლიმანო საქართველოს“ იდეს ქვეშ გაერთიანებით აქტიურად იცავდა საქართველოს ინტერესებს აჭარაში, სწორედ მათი დამსახურებაა აჭარის საქართველოს ტერიტორიად შენარჩუნება. ასევე თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, აჭარის მზარდი ისლამიზაციის ფონზე წარმოადგენენ შუალედურ ჯაჭვს მართმადიდებლურ და ისლამურ აღმსარებლობებს შორის. თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს გარშემო დატრალებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კოლაფსებმა (სამხედრო გადატრიალება, ეთნიკური კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისები და ა.შ.) ხელი შეუწყო თურქული ზეგავლენის გაძლიერებას აჭარის რეგიონზე. სახელმწიფოს მხრიდან არაკეთილსინდისერმა მიდგომამ რეგიონში გამოიწვია ეკონომიკური სიდუხჭირე, მნიშვნელოვანი კაპიტალის გადინება,

უმუშევრობა, სოფლის მეურნეობაში გაჩენლი პრობლემები, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა, განათლების დაბალი ხარისხი და ა.შ, ეს ყოველივე კი გახდა თურქული რბილი ძალის გააქტიურების საფუძველი, რამაც გაზარდა მისი ზეგავლენის ხარისხი.

შესაბამისად საჭიროა ხელისუფლების განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომა სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით, რათა არ მოხდეს მოსახლეობის უცხო ქვეყნის ინტერესის გამტარებელ ჯგუფად ჩამოყალიბება და მათი არმიზნობრივად გამოყენება. მითუმეტეს, როდესაც ამის პრეცედენტიები გვაქვს საქართველოს უახლეს ისტორიაში. აჭარაში პრო თრქული ზეგავლენის ზრდა პოტენციური საფრთხეებისა და გამოწვევებისკენ მიანიშნებს. აჭარაში განვითარებულ მოვლენებს ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1. პრო თურქული გავლენა გაზრდილია, 2. გარკვეული ლობისტური ჯგუფები აქტიურად არიან დაკავებულნი საზოგადოებრივი აზრის შექმნით, როგორც რეგიონში ასევე მის გარეთ, 3. თურქული ინტერესების გამტარებელი ჯგუფები ეწევიან პროპაგანდას, 4.სახელმწიფო ნებით თუ უნებლიედ არფექტურად მუშაობს თურქული რბილი ძალის პოლიტიკის დასაბალანსებლად, ხოლო რეგიონში გაჩენილი პრობლემების წინა ფლანგზე წამოწევისგან თავს იკავებს. ამ პრობლემებზე კი თავისი ხვედრითი წილი აქვს დემოგრაფიულ მდგომარეობასაც, რომელიც აკნინებს სახელმწიფოს ძალაუფლებას და ასუსტებს ეროვნულ უსაფრთხოებას.

## 3.3.2. ექსპერტების შეხედულებები და შეფასებები ქართულ - თურქული ურთიერთობების შესახებ

საკვლევ თემასთან დაკავშირებით ნარატიულ ინტერვიუში გამოკითხული იქნა შემდეგი ექსპერტები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და თურქოლოგი - ელისო მაჩიტიძე.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და აღმოსავლეთ მცოდნე - მაია კაპანაძე.

რონდელის ფონდის მკვლევარი და თურქულოგი - ზურა ბათიაშვილი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და თურქოლოგი - ზაურ მჭედლიშვილი

**შეკითხვა 1**

*როგორ შეაფასებდით ქართულ-თურქულ ურთიერთობებს ისტორიულ ჭრილში ?*

- **ელისო მაჩიტიძის** თქმით საქართველო და არამარტო საქართველო არამედ მთლიანი სამხრეთ კავკასია იყო ერთგვარი საომარი ლელო სადაც მუდმივად ხორციელდებოდა დამპყრობლური ლაშქრობები, რომელიც გამოწვეული იყო საქართველოს გეგორაფიული მდებარეობიდან, შესაბამისად ისე, როგორც თურქეთს ასევე სხვა დამპყრობლებს ჰქონდათ საკუთარი ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე. ისტორიულ ჭრილში ქართულ-თურქული ურთიერთობების დახასიათება მხოლოდ ნეგატიურადაა შესაძლებელი, სადაც ხშირი იყო სამხედრო დაპირისიპირებები.
- **მაია კაპანაძე** მიიჩნევს, რომ იმ რთული ისტორიულ წინაპერიოდის გათვალისწინებით, რომელიც ქართულ-თურქულ ურთიერთობებს ახასიათებს რთულია პოზიტიური მოვლენის პოვნა. შესაბამისად ბუნებრივია, რომ ქართულ-თურქული ინტერესები, ისტორიის მანძილზე ურიერთსაპირისპიროდ ვითარდებოდა. მათ არანაირი თანხვედრა არ ქონდათ არც პოლიტიკურ და არც კულტურულ სივრცეებში. მეტიც ყველანაირი ცვლილება საქართველოში ძალდატანებითა და იძულებით ხასიათს ატარებდა.
- **ზურა ბათიაშვილის** განცხადებით, ისტორიულ ჭრილში ქართულ-თურქული ურთიერთობების შეგვიძლია დავახასიათოდ, ისე, როგორც იმ დროინდელი სხვა იმპერიების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. მათ გარკვეული ინტერესები ჰქონდათ რეგიონში, რის შედეგადაც ხშირი იყო დაპირისპირებები და სამომარი მოქმედებები. ეს ყოველივე გამომდინარეობდა იმპერიული მიზნებიდან. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ხდებოდა ძალის გადანაცვლება იმპერიებს შორის, რომელშიც საკუთარი როლი ჰქონდა ოსმალეთის იმპერიასაც.
- **ზაურ მჭედლიშვილის** შეფასებით, ქართულ ქართულ-თურქული ურთიერთობების სათავედ შეიძლება მივიჩნიოთ ჯერ კიდევ XV საუკუნე, როდესაც ყალიბდეობდა ოსმალეთის იმპერია. კოსტანტინო პოლის დაცემის შემდეგ ნათელი გახდა რომ ოსმალეთის იმპერია ახლი გლობალური მოთამშე იყო რეგიონში, რომელსაც საკუთარი მიზნები ქონდა კავკასიაზე. შესაბამისად ისტორიულ ჭრილში ქართულ-თურქული ურთიერთობები საკმაოდ დაძაბულად ვითარდებოდა. კავკასია და მათ შორის საქართველო

გლობალური მოთამაშეების, იმპერიების, ძალთა გადანაწილების საგანად იქცა. სწორედ ამ მოვლენების შედეგია ის, რომ დღეს ქართული ისტორიული ტერიტორიები თურქეთის შემადგენელი ნაწილია.

**შეკითხვა 2**

*როგორ შეაფასებდით დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განახლებულ საქართველო - თურქეთის ურთიერთობებს ?*

- **ელისო მაჩიტიძე** ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველო-თურქეთს შორის შემაკავებელი ბარიერების მოხსნის შემდეგ აქტიურად დაიწყო ინტეგრაცია სხვადასხვა სფეროებში, რომელიც დადებითად აისახება, როგორც თურქეთზე ასევე საქართველოზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ეკონომიკის დარგები. თურქეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორად აღიარება და თურქულ იმპორტიერებულ პროდუქციაზე მსგავსი დამოკიდებულება ეკონომიკის არასტაბილურ მუშაობაზე მიანიშნებს. თავად თურქეთის ინტერესებში შედის ძლიერი კავკასიაში საქართველო, რომელზეც თურქული გავლენა დიდი იქნება.
- **მაია კაპანაძის** აზრით დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეიცვალა თურქეთთან ურთიერთობა, ასევე თავად თურქეთის დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი, რადგან თუკი გავითვალისწინებთ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას რეგიონში სტაბილურობა და ამ სატაბილურობის გარანტად თურქეთის ყოფნა, თავად მის ინტერესებში შედის. შესაბამისად განახლებული ურთიერთობები თურქეთთან დადებითი მოვლენებით დაიწყო, ამასთან თურქეთს ხანგრძლივი და ყოვლის მომცველი გეგმები აქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. გარდა ამისა საქართველოსთან ასეთი თბილი ურთიერთობები აიხსნება იმ გარემოებით, რომ თურქეთს აქვს საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნები საქართველოშიც. ნულოვანი პრობლემების პოლიტიკით კი თურქეთი სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით კი საქართველოში აბალანსებს და მეტოქეობას უწევს რუსეთსა და ირანს.
- **ზურა ბათიაშვილი** მიიჩნევს, რომ საქართველომ შეძლო დაევიწყებინა ის ნეგატიური მოვლენები, რომელითაც სავსეა ისტორია. ქართველმა ხალხმა შეძლო წინ გადაედგა ნაბიჯი და თურქეთთან ერთად დაიწყო რეგიონის განვითარება. ამ ურთიერთობების შედეგია ის, რომ თურქეთი დღეს არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი, მასთან ურთიერთობის შედეგად იზრდება მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხი, რაც თავისთავად აისახება ქვეყნის განვითარებაზე და რეგიონის

სტაბილურობაზე. შესაბამისად შეგვიძლია იმის თქმა რომ, მრავალმხრივი ურთიერთობების შედეგად სარგებელს იღებს ორივე ქვეყანა.

- **ზაურ მჭედლიშვილის** თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთს მოეხსნა გარკვეული შემაკავებელი ბარიერები რის შემდეგაც გაიზარდა მისი ინტერესი კავკასიის რეგიონის მიმართ. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საქართველოზე, როგორც კავკასიის კარიბჭე და ასევე, ცენტრალური აზიის ქვეყნებისკენ მიმავალ ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზაზე. კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტისა და რეგიონის სტაბილურობის სფეროში საქართველოს განსაკუთრებული მდებარეობის გამო, თურქეთმა დიდი დახმარება გაუწია საქართველოს, ეკონომიკისა და სამხედრო სფეროში. დღეისათვის თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელიც აზერბაიჯანთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან.

**შეკითხვა 3**

*თქვენი აზრით იჩენს თუ არა თავს რბილი ძალის ელემენტები ქართულ - თურქულ ურთიერთობებში და თუ იჩენს რამდენად მაღალია მისი ხარისხი ?*

- **ელისო მაჩიტიძე** მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართულ თურქულ ურთიერთობებში აქტიურად ვლინდება რბილი ძალის ელემენტები. რბილი ძალის ნიშნები განსაკუთრებით თვალსაჩინოა კულტურულ, საგანმანეთლებლო, რელიგიურ და ა.შ. სივრცეებში, სადაც გამარტივებულია სწავლა-განათლება, გაცვლითი პროგრამები, თურქული ღირეულებების გაცნობა და მათი პოპულარიზება ინტენსიურად ხდება მთელ რეგიონში, რაც თავისთავად ზრდის თურქული ღირებულებეებისკენ საზოგადოების სწრაფვას. რბილი ძალის ყველაზე თვალსაჩიო მაგალითია თურქული ფილმების სერიალების აქტიური ბრუნვა ქართულ ტელეარხებზე სადაც მიმზიდველადაა გადმოცემული ისტორიულ, კულტურული ფაქტები, რაც თავისთავად ზრდის საზოგადოების ინტერესს. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეებს, რომლებზეც თურქეთი აქტიურად ზემოქმედებს, ამის ნათელი მტკიცებულებაა იმ გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მთავრობის დროს იქნა მიღებული.
- **მაია კაპანაძის** თქმით თურქეთი აქტიურად ეწევა რბილი ძალის პოლიტიკას საქართველოში, რომლის ნიშნები უნდა ვეძებოთ იმ მიმართულებებში სადაც თურქეთი აქტიურად მონაწილეობს (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და ა.შ) რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან თურქეთის დღევანდელ დახვეწილ საგარეო პოლიტიკას თუკი

გავითვალისწინებთ არამხოლოდ საქართველოს მიმართ, არამედ მსოფლიოს მიმართ, ნათელია, რომ თურქეთი არაა ის სახელმწიფო რომელიც ომითა და ძალადობით ცდილობს მიზნების მიღწევას. თურქეთი ფეხსუწყობს საერთაშორისო რითმიულ პოლიტიკას. მის ხელში კი რბილი ძალა არის კარგი საშუალება ზემოქმედებისა და ზეგავლენისთვის. შესაბამისად მაღალია თურქული რბილი ძალის ხარისხი, მთლიან საქართველოზე და არამხოლოდ მუსლიმანურ თემზე. თურქეთის მთავარი საყრდენია საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სექტორია და არა მუსლიმანური მოსახლეობა, თუმცა მასაც თავისი წვლილი შეაქვს რბილი ძალის პოლიტიკის გატარებაში.

- **ზურა ბათიაშვილი** ფიქრობს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში რბილი ძალისგან თავის არიდება თითქმის შეუძლებელია, იგი ვლინდებ ძალიან ბევრი მიმართულებით. გამონაკლისი არც ქართულ-თურქული ურთიერთობებია, თურქეთთან დახლოების პოლიტიკით რათქმაუნდა გაიზარდა რბილი ძალის ხარისხი და მისი ზეგავლენა საქართველოზე, თუმცა ეს არ მომხდარა იძულების ან ძალდატანების საშუალებით, მისი ზრდა განაპირობა იმ საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ატარებს თურქეთთან ურთირთობაში. რბილი ძალის ნიშნები ორმხრივია, უბრალოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თურქეთი ბევრად დიდი და განვითარებული სახელმწიფოა, შესაბამისად თრქული რბილი ძალის ხარისხი ბევრად უფრო მაღალი და თვალსაჩინოა ვიდრე საქართველოსი.
- **ზაურ მჭედლიშვილის** აზრით „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, თურქეთი საკუთარი საგარეო პოლიტიკის ახალი ვექტორების ძიებას შეუდგა. ამის ნათელი დადასტურებაა აჰმეტ დავთოღლუს „სტრატეგიული სიღრმის“ ცნობილი ფუნდამენტალური ნაშრომი. თურქეთი ეყრდნობა ოსმალეთის ისტორიულ გამოცდილების ფენომენს და მეზობელ სახელმწიფოებთან ანვითარებს „ნულოვანი პრობლემების“ პოლიტიკას, სწროედ ამ მიმართულებით დაიწყო თურქეთმა „რბილი ძალის“ გამოყენება არამარტო საქართვეოზე არამედ მთელ რეგიონზე. თურქული „რბილი ძალის“ პოლიტიკის გავრცელება ხდება ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური და ა.შ. გზებით. მათი დახმარებით თურქეთი საკუთარ ფასეულობებისა და ღირებულებების გავლენას აძლიერებს მოზობელ სახელმწიფოებზე, რაც პირდაპირ დაკავშირებულია თურქული რბილი ძალის მაღალ ხარისხთან.

ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია იმის თქმა, რომ საუკუნეების მანძილზე ქართულ-ოსმალური ურთიერთობები ურთიერთსაპირისპიროდ ვითარდებოდა, რომლის დროსაც ხშირი იყო საომარი მოქმედებები, აქედან გამომდინარე ურთიერთობები ისტორიულ ჭრილში ნეგატიურად ვითარდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დადებითად აისახა განახლებულ საქართველო - თურქეთის ურთიერთობებზე, რომლის შემდგომი პერიოდი მთელი რიგი პოზიტიური მოვლენებით ხასიათდდება. ურთიერთობების განახლება განსაკუთრებით დადებითად აისახა ეკონომიკურ სექსტორზე. ასევე დაიწყო საქართველოს ენერგო უსაფრთხოებისა და რეგიონალურ - სატრანზიტო ფუნქციის განვითარება. საბოლოოდ თურქეთთან ვაჭრობის განივთარებით იგი გახდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი და რეგიონში სტაბილურობის გარანტი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა. შეგვიძლია იმის თქვმა, რომ თურქეთი საქართველოსთვის ასრულებს ხიდის ფუნქციას ევრო-ატლანტიკურ გზაზე. მიუხედავად რიგი დადებითი შედეგებისა, რომელიც მოჰყვა საქართველო - თურქეთის დაახლოებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობებში ერთ-ერთ დიდ პრობლემად გვევლინება რბილი ძალის პოლიტიკის ინტენსიური გამოყენება, რომელიც დამაზიანებელია საქართველოს კეთილდღეობისთვის. შესაბამისად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის თურქული რბილი ძალის პოლიტიკა ერთგვარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს, რომელთან გამკლავება ეფექტური და ხანგრძლივი მუშაობითაა შესაძლებელი.

# დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია  რბილი ძალის არსი და მისი როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, ქართულ-თურქული ურთიერთობების ქრონოლოგიური ანალიზი, თანამდეროვე ეტაპზე არსებული  ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, რბილი ძალის წყაროები, რომელიც სხვადასხვა ნიშნით თავს იჩენს ქართულ-თურქულ ურთიერთობებში.

მოლოდინი, რომელიც  საკვლევი საკითხის ჰიპოთეზაშია ნავარაუდევი გამართლდა, რასაც ადასტურებს ექსპერტების შეფასებებიც, ხოლო კვლევის პროცესში  საკვლევ კითხვებს ამომწურავად გაეცა პასუხები, შესაბამისად კვლევის შედეგების ერთობლიობა შემდეგია :

- ქართულ-თურქული ურთიერთობები ისტორიის მანძილზე დინამიურად ვითარდებოდა, რომლის დროსაც ხშირი იყო  საომარი მოქმედებები და საქართველოს წინააღმდეგ დამპყრობლური ლაშქრობები, რომელიც საქართველოს სახემწიფოებრიობას  და ქართულ ეროვნებას უქმნიდა საფრთხეს.
- საბჭოთა კავშირის  შექმნით განპირობებულმა ახალმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ შეზღუდა  საქართველოს დამოუკიდებელი  ურთიერთობები თურქეთთან. ამ გარემოებამ შეამცირა თურქული ზეგავლენა საქართველოზე, თუმცა გაზარდა საბჭოური.
- დამოუკიდებლობის აღდგენა და განახლებული ურთიერთობები თურქეთთან რიგი პოზიტიური მოვლენებით (ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური, კულტურული და ა.შ) ხასიათდება, თუმცა ურთიერთობების მსგავსი ტემპით დათბობას მოჰყვა  რბილი ძალის ეფექტურ მუშაობა და თურქული ზეგავლენის ზრდა.

- თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოები ინტენსიურად იყენებენ რბილი ძალის პოლიტიკას, რომელიც არის პოლიტიკური ყოველდღიურობის ნაწილი. მისი ეფექტური გამოყენება საერთაშორისო არენაზე დომინანტობის შენარჩუნების ტოლფასია.
- უცხოელი ავტორების შეფასებით (ამერიკელი, რუსი, ბერძენი, სომეხი) თურქეთი აქტიურად ეწევა მის მოსაზღვრე რეგიონის ქვეყნებზე ზეგავლენის გაძლერების მიზნით, რბილი ძალის პოლიტიკას, რაც არისი თურქული სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი.
- ლობიზმი, რბილი ძალის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის ეფექტური გამოყენება აილოლებს მიზნის მიღწევას. ლობიზმის საფარქვეშ ხშირია რბილი ძალის გამოყენების შემთხვევები და ორგანიზებული დანაშაულის პრეცენდენტები, რომელიც შეიძლება დამაზინებელი იყოს როგორც სახელმწიფო ასევე კორპრაციული ინტერესებისთვის.
- ლობიზმი აქტიურად გამოიყენება სადაზვერვო საქმიანობაში, რომელიც თავსებადია დაზვერვის ოთხივე (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ) მიმართულებასთან. ქართულ - თურქულ ურთიერთობებში ლობიზმის ელემენტები აქტიურად იჩენს თავს, რომელიც სხვადასხვა ფორმით, რამდენიმე მიმართულებაში ვლნდება.
- კვლევის შედეგად მოპოვებული ფაქტების ერთობლიობა მიანიშნებს, რომ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სექტორები მთავარი სამიზნეა თურქული რბილი ძალის პოლიტიკისთვის. ამ მიმართულებებში ინტენსიურად ვლინდება რბილი ძალის ელემნტები.
- რბილი ძალის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია კულტურლ და საგანამანათლებლო სივრცეებში.

- სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია იმის თქმა, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, რაც განსაკუთრებით სახიფათოა ეთნიკური სიჭრელის ფონზე. ეს პრობლემა აუცილებლად გააუარესებს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობას.
- ვითარების მსგავსი ტემპით გაუარესება უფრო მეტად გაზრდის მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის თურქეთის ზეგავლენას საქართველოს სხვადასხვა რეგიონზე.

# რეკომენდაციები

- რბილი ძალის დაბლანსება  შესაძლებელია პროცესის კონტროლით და მიღებული ანალიტიკური მონაცემების შედეგად, კანონმდებლობაში სისტემატიური ცვლილებების შეტანით.
- კონტრსადაზვერო და სადაზვერვო სამსახურის მიერ ოპერატიულ, ანალიტიკურ, აგენტირული მონაცემბის შეგროვებით, მათი ანალიზისა და გამოკვეთილი საფრთხეების პრევენციით.
- რბილი ძალის დაბალანსების პროცესში სხვადასხვა  სამეცნიერო დარგის მუშაკთა ჩართულობაა აუცილებელი.
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამოსარიცხად მნიშვნელოვანია შეიზღუდოს ლობისტთა იმ შენობა-ნაგებობებში და შეხვედრებზე შეღწევა, სადაც ინახება, იქმნება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ხასიათის დოკუმენტები ან ნაკეთობები.
- კანონმდებლობით დადგენილი სათანადო რეგისტრაციის გარეშე, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების ლობისტური საქმიანობა, მაღალი ალბათობით შეიძლება შეიცავდეს სადაზვერო ხასიათის ლობირების ნიშნებს.
- კორპორაციული ჯაშუშობის ან სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობის შედეგად ორგანიზებული ლობიზმის გამოსარიცხად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი და უცხოური კომპანიების კეთილსინდისიერება და თავსებადობა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან.
- სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია დიასპორების მხარდაჭერა, მათი პრობლემების წინ ფლანგზე წამოწევა, ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა დიასპორის საქმიანობაში.
- ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელით დამახასიათებელ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პრობლემებზე მუშაობა უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებებით :

1. *ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.*
2. *სოფლის მეურნეობის განვითარება.*
3. *უმუშევრობის შემცირება, რაც შემცირებს შრომით მიგრაციას.*
4. *განათლების  ხარისხის ამაღლება სადაც შესაძლებელი იქნება ქართული ენის, კულტურის, ისტორიის და ა.შ  შესწავლა.*
5. *ახალგაზრდობის სტიმულირება და მხარდაჭერა რათა არ მოხდეს  სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობისგან დაცლა.*

- საქართველოს დემოგრაფული პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფომ აქტიურად უნდა იმუშაოს შემდეგი მიმართულებებით :

1. *ოჯახში ოპტიმალური რაოდენობის ბავშვთა ყოლის ხელშეწყობა.*
2. *მატერიალური სტიმულირება. (ქართული ოჯახები ვერ აჩენენ იმდენ ბავშვს, რამდენიც სურთ რადგან არ აქვთ  მათი რჩენის შესაძლებლობა.)*
3. *ეკლესიის გაქტიურება შობადობის  პროპაგანდისთვის.*
4. *უშვილობის განმსაზღვრელი დაავადებების უსასყიდლოდ მკურნალობა.*
5. *ჯანდაცვის სფეროში ორსულებს მეტი პრივილეგია უნდა მიენიჭოთ.*

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ილიას უსუთნიერი, მუზაფირ ქირი, საქართველო თურქეთის პუბლიკაციებში, თბილისი 2018
2. ენუქიცე. გ „ ოსმალეთის იმპერიის აღზევება, ბიზანტიის დაცემა“ Silk school, 2016
3. ასათიანი. ნ, ოთხმეზური. გ, სამსონაძე. მ, ჯამბურია.გ „საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე“ ტომი III, თბილისი 2012, გვ120 – 517
4. ჯავახიშვილი. ლ, ჯავახიშვილი.ნ, ქართულ-ოსმალური ურთიერთობები 1918 წლის I ნახევარში, თბილისი 2002
5. ტარუხიშვილი .მ „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი შედეგები „
6. ჩაგელიშვილი .თ „აჭარის საიდუმლო“ 2015 წელი.
7. მიქაუტიძე .მ „ზაქარია ჭიჭინაძე მაჰმადიან ქართველთა ენობრივი კომპეტენციისა და ეროვნული იდენტობის შესახებ„ 2015
8. ბაღათურია .მ „მითები თუ რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ“ Grass fact check, 2019.
9. Joseph S. Nye , Soft Power. New York, 2004
10. აკობია .ე , საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბილისი 2006 გვ.38
11. ლილუაშვილი .გ, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი 2018
12. Зубкова А.И. “МЯГКАЯ СИЛА ТУРЦИИ: ФЕНОМЕН КАК ИНСТРУМЕНТА КУЛЬТУРНОЙ ДИПЛОМАТИИ” Москва, Россия, 2005
13. Сафонкина. Е. “Турция как новый актор политики мягкой силы”, 2015
14. Kamrava .M „The Great Game in West Asia, and the South Caucasus” 2017 გვ.65
15. İbrahim .K „Soft Power and Public Diplomacy in Turkey“ 2011
16. ჩიტაძე .ნ “გეოპოლიტიკა“ .გვ154-155
17. ფცქიალაძე .თ „საქართველო თურქეთის საგარეო პოლიტიკაში“ თბილისი 2017
18. სმოლნიკი .ფ, ვაისი .ა, ზაბანოვა .ი „მყიფე თანასწორობა თურქეთი, საქართველო და დე ფაქტო აფხაზეთი“ 2018 წელი.
19. გაიპარაშვილი ა. „ ლობიზმის პრაქტიკა და მექანიზმი დასავლეთსა ( აშშ-სა და ევროკავშირის მაგალითზე) და პოსტსაბჭოთა სივრცეში“ (სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე) თბილისი 2018
20. ქოიავა რ. „ლობიზმის დაბადება ამერიკის შეერთებულ შტატებში“ 2018
21. საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, 30/09/1998/
22. მედია ბიზნესისთვის (M2B) “ყირგიზეთში კოპრი-სინოჰიდრო დააჯარიმეს”
23. აშშ-ს საელჩო საქართველოში, „აშშ-ს მოქალაქეობის მსურველთათვის“
24. Mail-onlain “Citizenship test must focus on British values, says Home Secretary” 2018
25. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. 2018
26. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) „2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალქებზე ლტოლვილის სტატუსის, მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა“. 2014

27. Front news “საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ცდილობენ, გააძლიერონ ლობისტური ჯგუფები “ 2018
28. მჭედლიშვილი ზ. „საქართველოს და თურქეტის ახალი გეოპოლიტიკური რეალობა „ 2013
29. წურწუმია ზ. „თურქეთელი ქართველები, ლაზები და აფხაზები დღეს“ 2016
30. მჭედლიძე კ.- რადიო თავისუფლება, „თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობა“ 2012
31. Buissnes press new (BPN) “თურქული კომპანიები საქართველოში მსხვილ საინვესტიციო პროექტებს განხორციელებას გეგმავენ“, 2016
32. თოფურიძე ნ. „ თურქეთის როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“ 2015
33. Grass fact chack “თურქეთ-საქართველოს სავაჭრო პარტნიორობა“ 2017
34. Jam news, ვარდიაშვილი მ. „თურქული სკოლები საქართველოში-პოლიტიკური ზეწოლის მსხვერპლი“
35. ამბები.Ge "ქართველი პაციენტებისთვის თურქეთის კლინიკაში მკურნალობა მარტივდება“ 2017
36. ბათუმელები, ანთაძე ჯ. „ აჭარის მუსულიმანური მოსახლეობის რაოდენობა“ 2017
37. Jam news “ბათუმელი მუსლიმების ბრძოლა მეჩეთისთვის“ 2017
38. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „მოსახლეობა და დემოგრაფია“ 2019 წელი
39. ლიბერალი „დემოგრაფიული კრიზისი - გამოწვევა ეროვნული უსაფრთხოებისთვის“ 2018
40. British Counsil “soft power today” 2019. გვ 19-23